ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა -განათლების მეცნიერებები
(მოდული- განათლების სფეროს ხელმძღვანელობა და მართვა)

ტყეშელაშვილი მარიამი

განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი
განათლების მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2019

ანოტაცია

სოციალიზაციაზე, როგორც სოციალურ–პედაგოგიკურ მოვლენაზე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები (მათ შორის ტელევიზია) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და სოციალიზაციის მეზოფაქტორებად გვევლინება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ შორის ტელევიზიას, ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, განათლების ფუნქციაც ეკისრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა „საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვსაუბრობთ. საინტერესოა, თუ როგორ აშუქებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების სფეროს თემატიკას.

კვლევის სიახლე - თანამედროვე ქართულ რეალობაში იძებნება საზოგადოებრივ მაუწყებელზე განათლების სფეროს თემატიკის გაშუქებასთან დაკავშირებული რესურსი/კვლევა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე ვერ ვხვდებით თავად განათლების თემატიკაზე მიძღვნილი სიუჟეტების, გადაცემების სიღრმისეულ ანალიზს, შესაბამისად, ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს სიახლეს.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი - განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე

კვლევის ამოცანები - მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე; საკითხის/პრობლემის განსაზღვრა; კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება; კვლევა; კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი; დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის საგანი - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიერ განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკა

კვლევის ობიექტი - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემები, რომლებშიც ინტეგრირებულია განათლების თემატიკა.

კვლევის ჰიპოთეზა - განათლების საკითხების გაშუქება ჯეროვნად არ ხორციელდება.

წინამდებარე ნაშრომში დაწვრილებითაა განხილული კვლევის შედეგები, რომლებიც მოცემულია დასკვნებისა და რეკომენდაციების სახით.

Annotation

On socialization as a social-pedagogical phenomenon has a significant impact the means mass communication (including television) and is the Mezofactor of socialization.

Mass media, including television, along with many other functions, have a function of education, especially when are talking about public broadcaster which is "publicly funded, independent of the government and accountable to society" It is interesting to note how the First Channel of the Public Broadcaster covers education issues.

Research News- In the modern Georgian reality is sought the resource / research related to coverage of educational subject matter on public broadcaster. However, we cannot occur depth analyze of the subject matter and programs that are dedicated to the topic of education, accordingly, this research is original and represents the novelty.

The aim of the master's thesis is - The study of the educational field coverage on the example of the First Channel of the Public Broadcaster.

Research tasks- processing of secondary information / review of existing literature on the example of Georgia and foreign countries; determination of the issue / problem; development of research methodology; research; analysis of information received as a result of research; development of conclusions and recommendations.

The subject of research- practice on covering of education issues by the First Channel of Public Broadcaster.

Research object- The programs of the First Channel of the Public Broadcaster, in which integrated the theme of education.

Research hypothesis- Education issues are not properly covered. As a result of the research, we received interesting data because the problem was presented in complexity.

In this work are detailed reviewed the results of research in the form of conclusions and recommendations.

სარჩევი

შესავალი 6

თავი 1. სოციალური პედაგოგიკა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები 10

თავი 2. განათლება, როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება 12

თავი 3. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - საკვანძო ასპექტები 17

3.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია, ხედვა და განათლება,როგორც პროგრამული პრიორიტეტი 17

3.2. არასრულწლოვანთათვის მომზადებული მედიაპროდუქტის სამაუწყებლო ბადეში განთავსების სახელმძღვანელო წესები 19

3.3. მაუწყებლის მედიაპროდუქტის შეფასების საზომები–ზეგავლენა, მრავალფეროვნება, ხარისხი, სიღრმიეულობა,გამორჩეულობა 21

თავი 4. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საგანმანათლებლო პოლიტიკა - საერთაშორისო გამოცდილება 24

4.1. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია და საზოგადოებრივი მიზნები 24

4.2. BBC-ის 2017/2018 წლების ანგარიში 25

4.3. დიდი ბრიტანეთის მაუწყებლობის, ტელეკომუნიკაციებისა და საფოსტო მარეგულირებელი ორგანოს ანგარიში (Ofcom) 26

4.4. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხედვა განათლებასთან მიმართებით 27

კვლევითი ნაწილი 28

„რეალური სივრცის“ გადაცემები 29

1. სასკოლო განათლება 29

2.ძალადობის ანატომია მოზარდებში 32

3.საუკეთესო მასწავლებლები ცვლილებებზე 34

4. რას შეცვლის გამოცდების გაუქმება 37

გადაცემა „ახალი კვირის“ სიუჟეტები 39

1.ძალადობა მოზარდებში 39

3. აღზრდის ძალადობრივი მეთოდები 41

4.თანამედროვე ბოშები 43

5.განათლების რეფორმა 44

6.განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები 45

7.სკოლამდელი განათლების პრობლემები 46

8.ქართული ენა და ეთნიკური ჯგუფები 48

9.სოფლის ერთადერთი მოსწავლე 49

10. მშობლები სტიგმის წინააღმდეგ 50
11. ჰიგიენური ნორმები სკოლებში 51
12. ბულინგი და მშობლის როლი 54
13. ბულინგი სკოლებში 55
14. მავთულხლართებით დაშორებული მოზარდები 57
15. გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან 58
ინტერვიუს ანალიზი სამეურვეო საბჭოს წევრთან 60
პროდიუსერებთან ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუს ანალიზი 64
მედიაექსპერტთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი 73
დასკვნები 85
რეკომენდაციები 88
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა: 90

შესავალი

მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები (მათ შორის ტელევიზია) სოციალიზაციაზე, როგორც სოციალურ–პედაგოგიკურ მოვლენაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და სოციალიზაციის მეზოფაქტორებად გვევლინება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, მათ შორის ტელევიზიას, ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, საგანმანათლებლო ფუნქციაც ეკისრება, განსაკუთრებით მაშინ, როცა „საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვსაუბრობთ. საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიაში ერთერთი კომპონენტი გახლავთ: „საგანმანათლებლო-შემეცნებითი, საინფორმაციო და გასართობი მედიაპროდუქტებისა და სერვისის შეთავაზება“. მნიშვნელოვანია ისიც, რომ განათლება „საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების ერთერთ პროგრამულ პრიორიტეტად დასახელდა. სწორედ ამიტომ, საინტერესოა თუ როგორ აშუქებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების სფეროს თემატიკას.

საკითხის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ განათლების სფერო სახელმწიფო პრიორიტეტადაც დასახელდა, რაც მითითებულია არაერთ პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტში. მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა, განათლებას პრიორიტეტულ, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სწორედ, რომ განათლება უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მის ეფექტიან ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესებში. აღნიშნულ დოკუმენტებში („საქართველო 2020“; „საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა“) განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზარის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე

მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მეტად საინტერესოა როგორ ახერხებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში არსებული გამოწვევებისა თუ ცვლილებების გაშუქებას.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი - განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე

მეორეული ინფორმაციის გაცნობის საფუძველზე ჩამოვაყალიბეთ **ჰიპოთეზა**, რომ განათლების საკითხების გაშუქება ჯეროვნად არ ხორციელდება. აღნიშნული ვარაუდის შესამოწმებლად **მიზნად** დავისახეთ:

- განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა შემოგთავაზოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე

კვლევის საგანი – განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მაგალითზე

კვლევის ობიექტი - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემები, რომლებშიც ინტეგრირებულია განათლების თემატიკა.

გადაცემასა თუ სიუჟეტზე დაკვირვება შემდეგი კომპონენტების მიხედვით განვახორციელეთ :

- სინოფსისი – მოკლედ აღვწერეთ გადაცემის/სიუჟეტის შინაარსი;
- მიზანი– ჩამოვაყალიბეთ, თუ რისი იდენტიფიცირება სურდა ჟურნალისტსა თუ გადაცემის წამყვანს.
- რესპონდენტები – გავარკვიეთ, თუ რამდენად იყო შენარჩუნებული ბალანსი მედიაპროდუქტში.
- დასკვნა

თანამედროვე ქართულ რეალობაში იძებნება საზოგადოებრივ მაუწყებელზე განათლების სფეროს თემატიკის გაშუქებასთან დაკავშირებული კვლევა (კოალიციის

„განათლება ყველასათვის - საქართველო“ დაკვეთით „გამოყენებით კვლევების კომპანიის“ მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში), რომელიც 2016 წლის 15 სექტემბრიდან 27 დეკემბრის პერიოდში განხორციელდა, თუმცა აღნიშნულ საკითხზე ვერ ვხვდებით თავად განათლების თემატიკაზე მიძღვნილი სიუჟეტების, გადაცემების სიღრმისეულ ანალიზს, შესაბამისად, ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს სიახლეს.

თავი I. სოციალური პედაგოგიკა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები

სოციალური პედაგოგიკა მეცნიერებაა, რომელიც ადამიანის სოციალურ აღზრდა–ჩამოყალიბებას სწავლობს. სოციალური პედაგოგიკის დახმარებით, ნათელი ხდება იმ სოციალურ–პედაგოგიკური სურათის ასახვა, სადაც ხდება სხვადასხვა ასაკის ადამიანის სოციალიზაცია, მისი სრულყოფილ მოქალაქედ აღზრდა (მუდრიკი, 2001).

თავად სოციალიზაცია, სოციალურ–პედაგოგიკური მოვლენაა. ადამიანი დაბადებიდან გადის სოციალიზაციის პროცესის სხვადასხვა ეტაპს. აღზრდის, როგორც სოციალიზაციის ნაწილის გაგება, საფუძველს გვაძლევს სოციალური პედაგოგიკის შემდეგი განსაზღვრების ფორმულირებისთვის:

„სოციალური პედაგოგიკა პედაგოგიკის დარგია, რომელიც იკვლევს სოციალური აღზრდის არსს სოციალიზაციის კონტექსტში, ანუ ყველა ასაკისა და სოციალური კატეორიის ადამიანის აღზრდის პროცესს, რაც ხორციელდება როგორც ამისთვის სპეციალურად შექმნილ ორგანიზაციებში, ისე იმ ორგანიზაციებში,რომლისთვისაც აღზრდა არ წარმოადგენს ძირითად ფუნქციას“[მუდრიკი, 2001].

სოციალიზაციას რამდენიმე ფაქტორი გააჩნია (იმ პირობებს, რომლებიც ზემოქმედებენ ადამიანზე სოციალიზაციის პროცესში, ფაქტორები ეწოდება). ძირითად ფაქტორთაგან მიჩნეულია 4 ძირითადი ჯგუფი:

1. **მეგაფაქტროები**,რომელშიც იგულისხმება: სამყარო, პლანეტა,კოსმოსი;
2. **მაკროფაქტორები,** რომელშიც იგულისხმება ქვეყანა, ეთნოსი, სახელმწიფო, საზოგადოება.
3. **მეზოფატორები**, რომლებიც იმ ადამიანების სოციალიზაციაზე ახდენენ ზეგავლენას, რომლებიც ცხოვრობენ ქალაქში, სოფელში, დაბასა თუ რეგიონში. სწორედ, მეზოფაქტორში შედის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. 4.**მიკროფაქტორები** - განეკუთვნება ის ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ კონკრეტულ ადამიანზე,

რომელსაც ურთიერთობა აქვს ოჯახთან, სამეზობლოსთან , თანატოლებთან და ა.შ. (მუდრიკი, 2001).

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი კვლევის საგანი – მასობრივი კომუნიკაციების საშუალებას (ტელევიზია) უკავშირდება, რომელიც მეზოფაქტორებს მიეკუთვნება, სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებ ყურადღებას. როდესაც მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებზე ვსაუბრობთ, როგორც სოციალიზაციის ფაქტორზე, აღსანიშნავია, რომ ის ზემოქმედებას ახდენს მთელ მასაზე. ზოგჯერ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, მისი მასშტაბურობის გამო, მეგა ფაქტორებადაც მიიჩნევენ. მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების გავლენაზე საუბარი განსაკუთრებულ სერიოზულობას იძენს მაშინ, როდესაც ვსაუბრობთ მოზარდებზე. ხშირად სწორედ ეს საშუალებები ეხმარება მათ პიროვნებათაშორისი კონტაქტების დეფიციტისა თუ თანატოლებთან, მშობლებთან კონფლიქტის დროს. მეცნიერთა ცნობით, ტელევიზიის დახმარებით გამდიდრდა ნაკლებად განათლებული მასის თვალსაწიერი (მუდრიკი, 2001)

მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები კატალიზატორის როლს ასრულებენ ყველა ასაკის ადამიანის მიერ სოციალური ნორმის შეთვისების პროცესსა და მათში ფასეული ორიენტაციის ფორმიერბაზე იდეოლოგიისა თუ პოლიტიკის სფეროში. ამასთანავე, არსებული მოსაზრების თანახმად, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები არაფორმალური განათლების ინსტრუმენტადაც გვევლინება. საგულისხმოა, მასობრივი კომუნიკაციების საშუალებებისა და აღზრდის ურთიერთობა. ტექნოლოგიების ეპოქაში - XXI საუკუნეში - აღზრდა ყველა სახის კომუნიკაციის საშუალებას იყენებს, ხოლო სოციალური აღზრდის მნიშვნელოვან ასპექტად ე.წ მედიაგანათლება იქცა, რომელიც აღნიშნულ საშუალებათა კანონზომიერების შესწავლას ისახავს მიზნად. მისი ამოცანა კი მომავალი თაობისთვის ინფორმაციის აღქმასა და ამ ინფორმაციის ფსიქიკაზე ზემოქმედების შედეგების გაგებასა და სხვა მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. მედიანგანათლება ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სხვა სააღმზრდელო დაწესებულებებში (მუდრიკი, 2001).

თავი II. განათლება, როგორც სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება

განათლება ადამიანის ერთერთი ფუნდამენტური უფლებაა და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის განვითარებაში. სწორედ ამიტომ, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და, ზოგადად, მეცნიერების სისტემის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია, შესაბამისად, დეკლარირებულია როგორც ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. (http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf)

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი – *„დოკუმენტი, რომელიც კანონის შესაბამისად განსაზღვრავს ქვეყანაში არსებული ზოგადი განათლების სისტემის მიზნებს. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი არის ეროვნული სასწავლო გეგმის და ზოგადი განათლების სისტემის ძირითადი მაჩვენებლების შემუშავების საფუძველი. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტს იღებს საქართველოს მთავრობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; მუხლი 2*)

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გაზრდა;

ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;

გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება;

დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;

ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;

ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;

თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე (https://eqe.ge/geo/static/115)

მთავრობის ახალი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - „საქართველო 2020“, ისევე როგორც საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა, განათლებას პრიორიტეტულ, სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სწორედ, რომ განათლება უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებასა და მის ეფექტიან ჩართულობას ქვეყნის განვითარების პროცესებში.

აღნიშნულ დოკუმენტებში („საქართველო 2020“; „საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა“) განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზარის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან (http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf)

მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმა, ასევე ხაზს უსვამს იმ კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების მნიშვნელობას, რომელთა მიზანია ეროვნული, სოციალური და კულტურული მახასიათებლების გაძლიერება, ისევე როგორც ქვეყანაში მოქალაქეობის განვითარება.

ზემოთ ხსენებული მიზნების მისაღწევად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (შემდგომში - სტრატეგია) წლებისთვის, რომელიც ეფუძნება ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით.

სტრატეგია მოიცავს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროს: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები.

სტრატეგიაში აგრეთვე განმარტებულია, თუ როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული საქართველოს განათლების სისტემა, რათა ამ სისტემამ წვლილი შეიტანოს საზოგადოების წინსვლაში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებაში და ა.შ (http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერები-ს%20სტრატეგია.pdf)

2.1.მედიის როლი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის გაშუქებასთან მიმართებით

მედიას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დიდი წვლილი მიუძღვით განათლების გავრცელების საკითხში. ტელევიზიას, ბევრ სხვა ფუნქციასთან ერთად, საგანმანათლებლო ფუნქციაც ეკისრება (Aletha C. Huston,Bruce A. Watkins, Dale Kunkel).

ამ ფუნქციის შესრულება კი განსაკუთრებით მაშინაა სავალდებულო, როცა *„საჯარო დაფინანსებით მოქმედ, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულ“ (საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი2)* საზოგადოებრივ მაუწყებელზე ვსაუბრობთ. განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების გაშუქება, ფაქტობრივად, დეკლარირებული და გარდაუვალია აღნიშნული მედიასაშუალებისთვის.

საქართველოს კანონი “მაუწყებლობის შესახებ“, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს უზრუნველყოს საგანმანათლებლო–შემეცნებითი მედიაპროდუქტის წარმოება.

კოალიციის „განათლება ყველასათვის - საქართველო“ დაკვეთით „გამოყენებით კვლევების კომპანიის“ მიერ განხორციელებული კვლევის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა 2016 წლის 15 სექტემბრიდან 27 დეკემბრის პერიოდში და, რომლის ამოცანას წარმოადგენდა შეესწავლა თუ რამდენად პრიორიტეტულია საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განათლების საკითხების გაშუქება, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა მედია ექსპერტებთან. მედია ექსპერტის აზრით, მნიშვნელოვნია რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებში ასახული იქნას საქართველოს მთავრობის რეფორმის ძირითადი მიმართულებები. ამის გათვალისწინებით, განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ საზოგადოების ინფორმირება უნდა გახდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთერთი გამოკვეთილი პრიორიტეტი (http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2018/02/5.pdf).

„მედიის დანიშნულებაა რომ დაანახოს მაყურებელს რა გამოწვევების წინაშეა

დღეს სახელმწიფო და საზოგადოება განათლების კუთხით“–მედია ექსპერტი. (http://efageorgia.ge/wp-content/uploads/2018/02/5.pdf)

თავი III

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - საკვანძო ასპექტები

საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნას საფუძველი ჩაუყარა კანონმა მაუწყებლობის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 23 დეკემბერს მიიღო. აღნიშნული კანონის მე–15 მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური თუ კომერციული გავლენისგან თავისუფალი ორგანიზაციაა, რომელიც საზოგადოების ყველა სეგმენტს მისთვის საინტერესო პროგრამას სთავაზობს. საზოგადოებრივი მაუწყებელი გახლავთ *„საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას“* (https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=51)

საზოგადოებრივი მაუწყებელი ამჟამად აერთიანებს ორ ტელეარხს: „პირველი არხი“

(მაუწყებლობს 1956 წლიდან) და „მეორე არხი“ (მაუწყებლობს 1991 წლიდან) . აგრეთვე ორ რადიო არხს: საქართველოს რადიო - პირველი არხი FM 102.4 (ეთერშია 1925 წლიდან) და რადიო ორი - ქართლი რადიო FM 100.9 (ეთერშია 1995 წლიდან) (https://1tv.ge/)

საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“ მითითებულია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები გახლავთ: სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი. სწორედ სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელობით ხდება პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრა. პროგრამული პრიორიტეტები მიიღება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით(https://matsne.gov.ge/ka/document/view-/32866?publication=52).

3.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია, ხედვა და განათლება,როგორც პროგრამული პრიორიტეტი

საზოგადეობრივი მაუწყებლის მთავარ მისიას დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებასთან ერთად, საზოგადოებრივი განათლების დონის ამაღლებაც

წარმოადგენს. მაუწყებლის ამოცანები და ღირებულებები ორიენტირებულია საგანმანათლებლო–შემეცნებითი ტიპის გადაცემების მომზადებაზეც. საზოგადოებრივი მაუწყებლის მისიაში ერთერთი კომპონენტი გახლავთ: *„საგანმანათლებლო-შემეცნებითი, საინფორმაციო და გასართობი მედია პროდუქტებისა და სერვისის შეთავაზება“*(https://cdn.1tv.ge/app/uploads/2018/08/2018-2021-პროგრამული-პრიორიტე-1-1534511013.pdf)

საზოგადოებრივი მაუწყებლის ხედვაა იყოს საქართველოში ყველაზე სანდო, ხარისხიანი, მრავალფეროვანი, აქტუალური და ხელმისაწვდომი მედია.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის 2018-2021 წლების პროგრამულ პრიორიტეტებში“ მითითებულია,რომ ბავშვებისთვისა და მოზარდებისთვის განკუთვნილი პროდუქციის ზრდა მნიშვნელოვანია და, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შემეცნებითი–საგანმანათლებლო ტიპის მედიაპროდუქტის გამრავალფეროვნებასა და რაოდენობრივ ზრდას უნდა შეუწყოს ხელი. მაუწყებლის სტრატეგიული მიზანია, მიაწოდოს საზოგადოებას ის მედიამომსახურება, რაც სჭირდება და ვერ ღებულობს სხვა მედიასაშუალებებით (https://bit.ly/2SsSEWR).

მისი შინაარსობრივი ვალდებულებაა ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები. ის ვალდებულია, საგანმანათლებლო სატელევიზიო დროის (ახალი ამბების პროგრამების, სპორტული მოვლენებისა და თამაშების, რეკლამის, ტელეტექსტისა და ტელეშოპინგისათვის გამოყოფილი დროის გამოკლებით) ნაწილის ევროპული წარმოების პროდუქციისათვის(პროდუქცია, რომელიც წარმოებულია ევროპის იმ ქვეყანაში, რომელშიც ძალაშია „ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ“ ევროპის კონვენცია, ან საქართველოში, ან რომლის საავტორო უფლებების მფლობელია ამ ქვეყნის ან საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური ან იურიდიული პირი) გამოყოფა. ევროპული წარმოების პროდუქციისათვის დათმობილი დროის ეს ნაწილი გამოიყენება პროგრესულად, მაყურებლისა და მსმენელის წინაშე მაუწყებლის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, გასართობი და კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით („საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ“ თავიV, მუხლი 51).

ზემოთ ხსენებული ნორმის შესაბამისად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთერი უნდა დაგეგმოს საგანმანათლებლო, გასართობი და

კულტურული ვალდებულებების გათვალისწინებით. ეს ზოგადი ნორმა

დაზუსტებულია ამავე კანონით (მაუწყებლობის შესახებ) და მაუწყებელთა ქცევის

კოდექსით.

მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებაა აგრეთვე მოზარდების მონაწილეობით მომზადდეს მედიაპროდუქტი მათთვის აქტუალურ და საინტერესო თემებზე.

საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ (თავის III, მუხლი16) ითვალისწინებს,რომ მაუწყებელმა ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები. ამასთანავე, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის(https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=51).

3.2. არასრულწლოვანთათვის მომზადებული მედიაპროდუქტის სამაუწყებლო ბადეში განთავსების სახელმძღვანელო წესები

,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 38–ე მუხლის მიხედვით, სამაუწყებლო ბადის შედგენისას მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს:

–არსებობს თუ არა არასრულწლოვნების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისათვის მავნე ზეგავლენის მოხდენის რეალური საფრთხე;

– რამდენად შესაფერისია პროგრამა ან/და მასში გამოყენებული მასალები შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის არასრულწლოვანთათვის(კოდექსი ადგენს არასრულწლოვანთა შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებს:ა) 7 წლამდე; ბ) 12 წლამდე; გ) 15 წლამდე; დ) 18 წლამდე)

ამ კოდექსით განსაზღვრული არასრულწლოვანთა ასაკობრივი ჯგუფების მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მიზნით, მაუწყებელი ვალდებულია მოახდინოს მის

სამაუწყებლო ბადეში განსათავსებელი პროგრამების კლასიფიკაცია არასრულწლოვანთა ამ კოდექსით განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეუფერებელი, შესაბამისი კატეგორიების პროგრამების განსაზღვრისა და მათი სათანადო დროითი შეზღუდვებით დაგეგმვის გზით (მასალა აღებულია ,,მაუწყებელთა ქცევის კოდექსიდან“).

მაუწყებელი აგრეთვე ვალდებულია სამაუწყებლო ბადე დაგეგმოს შემდეგი დროითი შეზღუდვებით:

–18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 24.00 საათამდე;

–15 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 23 საათამდე;

–12 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები არ განათავსოს 06.00 საათიდან 20 საათამდე;

– 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი პროგრამები სამაუწყებლო ბადეში არ განათავსოს 06.00 საათიდან 20.00 საათამდე(გამონაკლის შემთხვევაში, როცა არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელი მასალების განთავსება იმ პროგრამებში, რომელიც დაგეგმილია 06 საათიდან 20.00 საათამდე,შეიძლება განხორციელდეს წინასწარი გაფრთხილების საფუძველზე, სხვადასხვა გამომსახველობითი ფორმებით, რომ პროგრამა შეიცავს ამ ასაკის არასრულწლოვნებისათვის შეუფერებელ მასალას)

06:00 საათიდან 20.00 საათამდე, წყალგამყოფის მოქმედების პერიოდში გადაცემული პროგრამები უნდა იყოს შესაფერისი საოჯახო, მათ შორის, საბავშვო ჩვენებისთვის. რაც უფრო ადრეა საღამოს პროგრამა დაგეგმილი, მით უფრო შესაფერისი უნდა იყოს ის არასრულწლოვნებისთვის. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, საზოგადოებრივი ინტერესის ან მნიშვნელოვანი სარედაქციო დასაბუთების არსებობისას

შეიძლება ამ წესიდან გადახვევა და ასეთ დროს აუდიტორიას წინასწარ უნდა მიეწოდოს ზუსტი ინფორმაცია პროგრამის შინაარსის შესახებ(მუხლი 47)

ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 17) ადგენს ინფორმაციისა და მასალების მიღების, მედიასთან ურთიერთობების და მედიასაშუალებებში ბავშვთა საკითხების გაშუქების ზოგად, საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, კონვენციის თანახმად, ,,მონაწილე სახელმწიფოები (მათ შორის, საქართველოც) აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით, ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე, ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები: ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით; ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა 53 კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით...

3.3. მაუწყებლის მედიაპროდუქტის შეფასების საზომები–ზეგავლენა, მრავალფეროვნება, ხარისხი, სიღრმიეულობა,გამორჩეულობა

მაუწყებლის საქმიანობა ფასდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. აღსანიშნავია ისიც, რომ შეფასებები შეიძლება კეთდებოდეს წლის განმავლობაში და გამოიყენებოდეს რეკომენდაციების გასაცემად(https://bit.ly/2SsSEWR).

მოცემული შეფასების კრიტერიუმები: ზეგავლენა, მრავალფეროვნება, ხარისხი, სიღრმიეულობა,გამორჩეულობა – გამოიყენება თითოეული ჟანრისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გათვალისწინებით(https://bit.ly/2SsSEWR).

ზეგავლენაში მაუწყებელი სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრებს შემდეგ დებულებებს:

–მაყურებელს შესაძლებლობას უქმნის, იფიქროს პროცესსა თუ მოვლენაზე ახალი კუთხით;

- მაუწყებელი ქმნის ისეთ პროგრამებს, სიუჟეტებს, რომლებიც იწვევს გამოხმაურებას, რეაგირებას...

- პასუხობს მომხმარებლის ინტერესებს და საჭიროებებს;

- წარმოაჩენს და პოპულარიზაციას უწევს საქართველოს თვითმყოფად კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას;

- პოპულარიზაციას უწევს მსოფლიო კულტურას, ხელოვნებას, მეცნიერებას... (https://bit.ly/2SsSEWR)

მრავალფეროვნებაში მაუწყებელი სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრებს შემდეგ დებულებებს:

–წარმოაჩენს მრავალფეროვან მსოფლმხედველობებს, პოლიტიკურ

თვალთახედვებსა და ინტერესებს;

–სათანადო ყურადღებას უთმობს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფისთვის მნიშვნელოვან თემებს, პრობლემებს, ინტერესებს... (https://bit.ly/2SsSEWR)

ხარისხში მაუწყებელი სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრებს შემდეგ დებულებებს:

- აშუქებს მოვლენებს ოპერატიულად, მიუკერძოებლად და ობიექტურად;

–აშუქებს მოვლენებს დაზუსტებულად, სანდო წყაროებზე დაყრდნობით

საკითხებს გადმოსცემს გასაგები ენით;

- მოიძიებს და წარმოაჩენს ექსკლუზიურ და აქტუალურ ინფორმაციას,

თემებს;

- წარმოაჩენს მოვლენებს ახლებური და განსხვავებული კუთხით;

- უზრუნველყოფს დისკუსიებისა და დებატების ისეთ ფორმატს, სადაც შესაძლებელია რაციონალური აზრის ჩამოყალიბება.

სიღრმისეულობაში *მაუწყებელი სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრებს შემდეგ დებულებებს:*

- მაყურებელს ეხმარება დაინახოს რეალობა, აზრი გამოიტანოს მიმდინარე მოვლენებიდან;

–სიღრმისეულად აანალიზებს მოვლენებს (კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ) და წარმოაჩენს თუ როგორ ეხება პიროვნებას, საზოგადოებას და სამყაროს (https://bit.ly/2SsSEWR).

გამორჩეულობაში მაუწყებელი სხვა კომპონენტებთან ერთად მოიაზრებს შემდეგ დებულებებს:

- ქმნის მუდმივ ფასეულობებზე ორიენტირებულ პროდუქციას, რომელიც არ არის წარმავალ, ამ წუთიერ რეიტინგზე ორიენტირებული (https://bit.ly/2SsSEWR)

თავი IV
მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების საგანმანათლებლო პოლიტიკა - საერთაშორისო გამოცდილება

British Broadcasting Corporation (BBC) - ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი მსოფლიოს ყველაზე ძველი ნაციონალური სამაუწყებლო კომპანიაა. ის 1922 წელს, ლონდონში დაფუძნდა, დღეს კი მსოფლიოს უდიდესი მაუწყებელია (https://www.bbc.com/aboutthebbc/governance/charter).

BBC მოქმედებს Royal Charter-ის (სამეფო ქარტია) მიხედვით. სამეფო ქარტია არის BBC- ს კონსტიტუციური საფუძველი. მოქმედი ქარტია ძალაში 2017 წლის პირველ იანვარს შევიდა და 2027 წელს გაუვა ვადა. სწორედ ეს დოკუმენტი განსაზღვრავს მაუწყებლის მისიას, მიზნებს და უზრუნველყოფს BBC-ის სტაბილურობასა თუ დამოუკიდებლობას პარლამენტისა და მთავრობისგან (https://www.bbc.com/aboutthebbc/governance/charter).

4.1. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მისია და საზოგადოებრივი მიზნები

BBC-ის მისიაა იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად, აუდიტორია უზრუნველყოს მიუკერძოებელი, მაღალი ხარისხის პროდუქციით, რომელიც მის ინფორმირებას, განათლების მიცემასა და გართობას უზრუნველყოფს (https://www.bbc.com/aboutthebbc/governance/mission).

ქარტია ადგენს 5 ძირითად მიზანს:

- *აუდიტორია მიუკერძოებელი სიახლეებითა და ინფორმაციით უზრუნველყოს;*
- *ყველა ასაკის ადამიანის სწავლის ხელშეწყობა – მაუწყებელმა უნდა შექმნას საგანმანათლებლო კონტენტი, რათა დაეხმაროს, მხარი დაუჭიროს ბავშვებისა და თინეიჯერების სწავლის პროცესს. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა დაეხმაროს საზოგადოებას აღმოაჩინოს რაღაც ახალი და მონაწილეობა მიიღოს*

სხვადასხვა აქტივობაში საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ ინსტიტუტებთან პარტნიორობის გზით;

- *წარმოაჩინოს ყველაზე შემოქმედებითი, უმაღლესი ხარისხის და გამორჩეული მედიაპროდუქტი;*
- *BBC უნდა ასახავდეს გაერთიანებული სამეფოს ნაციის მრავალფეროვნებას - ის ვალდებულია წარმოაჩინოს გაერთიანებული სამეფოს ხალხის ცხოვრება და წარმოადგინოს სხვადასხვა კულტურისა თუ ალტერნატიული შეხედულებების მქონე ადამიანები, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან ბრიტანეთის საზოგადოებას;*
- *მსოფლიოს გააცნოს დიდი ბრიტანეთი, მისი კულტურა და ღირებულებები* (https://www.bbc.com/aboutthebbc/governance/charter).

4.2. BBC-ის 2017/2018 წლების ანგარიში

ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთერთი ძირითადი მიზანი განათლების ხელშეწყობაა. ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის თანახმად, 16 წლამდე მოზარდების 83 % უყურებს BBC-ის, რადიოს ან იყენებს მაუწყებლის ონლაინ პლატფორმებს. ინგლისელ მოზარდთა 67 % მიიჩნევს, რომ BBC ეფექტურია ახალი საგნების სწავლებასთან მიმართებით. მშობელთა 62% მიიჩნევს, რომ მაუწყებელი ეხმარება მათს შვილებს სწავლის პროცესში (http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/inside-thebbc/reports/pdf/bbc_annualreport_201718.pdf).

გარდა საგანმანათლებლო პროგრამებისა, BBC–მ შექმნა პლატფორმა BBC Bitesize, რომელიც განკუთვნილია მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ პლატფორმას საშუალო საფეხურზე მყოფ მოზარდთა 80%, ხოლო დაწყებით საფეხურზე მყოფ მოსწავლეთა 40% იყენებს. მათგან, ვინც პლატფორმას ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებლად (GCSE) იყენებს, 78% აცხადებს, რომ პლატფორმის საშუალებით თავს უფრო მომზადებულად გრძნობს, 54% კი მიიჩნევს, რომ გამოცდაზე უკეთესი შედეგების მიღწევაში დაეხმარა (http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/insidethebbc/reports/pdf/bbc_-annualreport_201718.pdf).

2017–2018 წლების ანგარიშის თანახმად, BBC–მ საგანმანათლებლო ფუნქციის ეფექტურობისთვის თანამშრომლობა დაწყებითი სკოლების 40%–თან, 30 საგანმანათლებლო ორგანიზაციასა თუ უნივერისიტეტთან დაიწყო. კამპანიის ერთერთ მიზანს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის (STEM) კრიზისის დაძლევა წარმოადგენდა (http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/insidethebbc/reports/pdf/bbc_annualreport_201718.pdf).

BBC–მ შექმნა მასწავლებლებისთვის დამხმარე სასწავლო რესურსები (მოკლე ფილმები, აუდიო ჩანაწერები...). კვლევის თანახმად, მასწავლებელთა 60% იყენებს აღნიშნულ რესურსებს საგაკვეთილო პროცესის დროს (http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/insidethebbc/reports/pdf/bbc_annualreport_201718.pdf).

4.3. დიდი ბრიტანეთის მაუწყებლობის, ტელეკომუნიკაციებისა და საფოსტო მარეგულირებელი ორგანოს ანგარიში (Ofcom)

BBC-ის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო დადებითად აფასებს მაუწყებლის საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულების საკითხს. ანგარიშში ნათქვამია, რომ BBC უზრუნველყოფს ნებისმეირი ასაკის ადამიანისთვის საგანმანათლებლო–შემეცნებითი მედიაპროდუქტის მომზადებას. მოზარდებს საშუალება აქვთ შეისწავლონ მხატვრობა, მუსიკა, მეცნიერება, ისტორია. ამ მასალის დიდი ნაწილი კომერციულად მომგებიანი არაა, ამიტომ სხვაგვარად, სხვა ტელევიზიათა საშუალებით ამ ტიპის ინფორმაციის გავრცელება ვერ მოხერხდებოდა (https://www.ofcom.org.uk/__data/assets/pdf_file/0015/124422/BBC-annual-report.pdf)

აღნიშნული ანგარიშის თანახმად, CBeebies და CBBC ბავშვებსა და თინეიჯერებს სთავაზობს არაფორმალური განათლების შინაარსს, ხოლო ონლაინ პლატფორმა BBC Bitesize ფორმალურ განათლების შინაარსს. იმ ბავშვების კმაყოფილების დონე, რომლებიც BBC-ის ვებ.გვერდსა და აპლიკაციებს იყენებენ სასკოლო სამუშაოსთვის, ძალიან მაღალია(https://www.ofcom.org.uk/__data/assets/pdf_file/0015/124422/BBC-annual-report.pdf).

4.4. ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ხედვა განათლებასთან მიმართებით

- *სკოლამდელი ასაკის ბავშვებში წიგნიერების დონის ზრდის ხელშეწყობა*
- *ბავშვების ფართო საჭიროებების ხელშეწყობა, მათს მენტალურ ჯანმრთელობასა და თვითშეფასების ამაღლებაზე ზრუნვა და მუდმივად მათი აკადემიური უნარების გაუმჯობესებაზე მუშაობა* http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/insidethebbc/reports/-pdf/bbc_annualreport_201718.pdf).

კვლევითი ნაწილი

სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი ნაწილის მიზანს წარმოადგენს განათლების სფეროს თემატიკის გაშუქების პრაქტიკის კვლევა საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიველი არხის მაგალითზე.

კვლევის მეთოდი – თვისებრივი კვლევა:

- დოკუმენტაციის ანალიზი (სამაგიდე კვლევა)
- დაკვირვება
- ნახევრადსტრუქტურირებული სატელეფონო ინტერვიუ – მედიაექსპერტებთან, განათლების სფეროს სპეციალისტებთან და საკვლევი გადაცემების პრდიუსერებთან.

გადაცემასა თუ სიუჟეტზე დაკვირვება შემდეგი კომპონენტების მიხედვით განვახორციელეთ:

ა) სინოფსისი – მოკლედ აღვწერეთ გადაცემის/სიუჟეტის შინაარსი;

ბ) მიზანი– ჩამოვაყალიბეთ, თუ რისი მხილება სურდა ჟურნალისტსა თუ გადაცემის წამყვანს.

გ) რესპონდენტები – გავარკვიეთ, თუ რამდენად იყო შენარჩუნებული ბალანსი მედიაპროდუქტში.

დ) დასკვნა

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის თანახმად სატელეფონო გამოკითხვა მასობრივი გამოკითხვის სახეობაა, რომელიც რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს მიეკუთვნება. მასობრივი გამოკითხვის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: ანკეტირება და ინტერვიუ.

ინტერვიუ ორი სახისაა: ერთ შემთხვევაში ინტერვიუერი უშუალოდ უსვამს შეკითხვებს რესპონდენტს (ინტერვიუს ამ სახეს პირისპირ ინტერვიუს ვუწოდებთ);

მეორე შემთხვევაში კი ინტერვიუერი ურეკავს რესპონდენტს და ტელეფონით უსვამს შეკითხვებს (ინტერვიუს ამ სახეს სატელეფონოს ვუწოდებთ) (http://css.ge/files/-Books/Books/raodenobrivi_kvlevis_meTodebis_saxelomzgv.pdf)

თინათინ ზურაბიშვილის წიგნის „თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“

მიხედვით, სატელეფონო გამოკითხვა - მასობრივი გამოკითხვის სახეობაა, რომელიც ტელეფონის მეშვეობით ტარდება. სატელეფონო ინტერვიუები ,როგორც წესი, 10-15 წუთზე მეტ ხანს არ გრძელდება (ზურაბიშვილი, 2006; გვ.102).

„რეალური სივრცის“ გადაცემები

1. სასკოლო განათლება

(https://1tv.ge/video/realuri-sivrce-saskolo-ganatleba-live/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი)

ა) სინოფსისი: 2018 წლის 9 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებ. გვერდზე გამოქვეყნდა „რეალური სივრცის“ გადაცემა სახელწოდებით „სასკოლო განათლება“. გადაცემის მსვლელობისას საუბარი იყო სასკოლო განათლების ხარისხზე, განათლების ხელმისაწვდომობაზე და იმაზე, თუ რამდენად თანაბარ პირობებში უწევთ სოფელში, ერთი მხრივ, მუშაობა მასწავლებლებს და, მეორე მხრივ, განათლების მიღება მოსწავლეებს. გადაცემაში აჩვენეს მინი ექსპერიმენტიც, სამმა თბილისელმა მოსწავლემ სამ დღეს სოფლის სკოლაში დაჰყო,რათა მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორი მდგომარეობაა სოფლის სკოლებში და რით განსხვავდება ქალაქის ზოგად საგანმანათ-ლებლო დაწესებულებისგან. გადაცემაში ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს სოფლის სკოლის პრობლემებზე, მათ შორის: ინფრასტრუქტურაზე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაზე, სასმელი წყლისა და კვებასთან დაკავშირებული საკითხებზე, ბულინგზე. განიხილეს თუ რა გავლენა აქვს გარემო პირობებსა და არაფორმალური განათლების წახალისებას განათლების ხარისხზე.

გადაცემაში განიხილეს აგრეთვე ის საკითხიც, გაწერილია თუ არა სახელმწიფოს სტრატეგიაში ინფრაქსტრუქტურული პროექტების განვითარება და, ზოგადად,

როგორია სახელმწიფოს ხედვა ზემოთ ხსენებული პრობლემების მოგვარებასთან მიმართებით.

ბ) გადაცემის მიზანი: გადაცემის მიზანი გახლდათ ეჩვენებინათ თუ როგორი პირობები აქვთ მოსწავლეებს სოფლებში არსებულ ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რა პრობლემები არსებობს და რა ფქტორები ახდენს გავლენას ხარისხიანი განათლების მიღებაზე.

გ) რესპონდენტები: რეზო აფხაზავა – განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ზურა ვარდიაშვილი – „ლიბერალის“ რედაქტორი

ნაზი ჩოფიკაშვილი – სასწავლო ინტელექტუალური ცენტრის „ხევის მომავალი“ ხელმძღვანელი

ნონა სადრაძე – „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ახალგაზრდული პროგრამების მენეჯერი

ტოლია კილასონია – ინფორმატიკის მასწავლებელი

მანანა რატიანი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მთავარი გმირი

მერი ანდღულაძე – ოზურგეთის საჯარო სკოლის მოსწავლე

მიხეილ მაღლაფერიძე, გიორგი გოგავა, ფრიდონ ხორბალაძე, ელისაბედ ლომინეიშვილი, ეკა ხომერიკი, მარიამ გორგაძე, ირინა ქავჟარაძე – მოსწავლეები

ზურა თავართქილაძე – სტუდენტი

დასკვნა: გადაცემა მეტად მნიშვნელოვან საკითხებს მიეძღვნა. ხარისხი, თანასწორობა- ის ძირითადი გამოწვევებია, რომლის წინაშეც დგას საქართველოს სასკოლო განათლების სისტემა (საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია,2013). მართალია, გადაცემაში წარმოდგენილი ექსპერიმენტი ასახავდა იმ რეალობას თუ რამდენად თანაბარ პირობებში იღებენ განათლებას სოფლად მცხოვრები ბავშვები, ქალაქად მცხოვრებ ბავშვებთან შედარებით, თუმცაღა საკითხის მასშტაბურობისა და სიღრმისეულობის დასანახად ერთი რეგიონის სამი სხვადასხვა

სკოლის მაგალითი საკმაოდ მცირეა. საკითხის სიღრმისეული გადმოცემისთვის უმჯობესი იქნებოდა გადაცემაში საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევის შედეგები, სტატისტიკა მოეხმოთ შესაბამისი ვიზუალური გამომსახველობების საშუალებებით, რათა მაყურებლისთვის მარტივად აღსაქმელი ყოფილყო, ის თუ რამდენად უზრუნველყოფს განათლების სისტემა ბავშვების, მოზარდებისა თუ ახალგაზრდების სწავლისა და განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს მათი საცხოვრებელი ადგილისა თუ სოციალური მდგომარეობის მიუხედავად. მაგალითად, თუკი PIRLS-ისა და TIMSS–ის 2006–2007 წლების მონაცემებს 2011 წლის მონაცემებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ მოსწავლეთა მონაცემები სოფლად უარესდება ან იგივე რჩება, ქალაქში კი უმჯობესდება (გადაცემაში მხოლოდ ის სტატისტიკური მონაცემები აჩვენეს, რომელნიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ქალაქისა და სოფლის სკოლის მოსწავლეებს შორის არსებულ განსხვავებაზე მიუთითებდა). ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის (მშობლის განათლებისა და ოჯახში წიგნების რაოდენობის) მიხედვითაც, განსხვავებები ბავშვების მიღწევებს შორის მნიშვნელოვნად გაიზარდა. გადაცემის დიდი წილი მიეძღვნა ინფრასტრუქტურის პრობლემას, რომელიც დასახელდა ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ქალაქისა და სოფლის სკოლებს შორის არსებული უთანასწორობისა და სოფლად განათლების უფრო დაბალი ხარისხის ინდიკატორად, რაც სრული სურათის დანახვაში ხელს უშლის მაყურებელს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასკოლო განათლების სისტემის ერთერთი გამოწვევა – თანასწორობა - თავის თავში რამდენიმე ფაქტორსა და ცვლადს მოიცავს, რაც გადაცემის წამყვანის მხრიდან გაჟღერებას მაყურებელთა ინფორმირებისათვის მოითხოვდა (მაგალითად,თანასწორობა გულისხმობს,რომ განათლების სისტემამ ნებისმიერ ბავშვს, რომელიც ცხოვრობს სოფლად, იზრდება ხელმოკლე ოჯახში, აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები ან წარმოადგენს ეთნიკურ თუ ენობრივ უმცირესობას მისცეს განვითარების თანაბარი შესაძლებლობა). გადაცემის მიზნობრიობისა და დროის ეფექტურად გამოყენებისთვის უმჯობესი იქნებოდა ფოკუსირება იმ საკითხზე მომხდარიყო, რომელიც წამყვანმა დასაწყისშივე დაანონსა და თემიდან გადახვევა – არაფორმალური განათლების, ბულინგისა თუ სხვათა საკითხებზე საუბარი მიზანშეწონილი არ გახლდათ.

2.ძალადობის ანატომია მოზარდებში

ა) სინოფსისი: 2018 წლის 30 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებ. გვერდზე გამოქვეყნდა „რეალური სივრცის“ გადაცემა სახელწოდებით - „ძალადობის ანატომია მოზარდებში“. გადაცემის იდეა სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეოს გამოძახილი გახლდათ, სადაც ჩანს მცირეწლოვანი ბავშები თანატოლს როგორ აყენებდნენ სიტყვიერ თუ ფიზიკურ შეურაცხყოფას. გადაცემის ძირითადი აქცენტები გახლდათ შემდეგი: საიდან მოდის აგრესია ბავშვებში? რა გავლენას ახდენს მოზარდის თვითშეფასება ძალადობრივ ქცევაზე? როგორია მშობლის, მასწავლებლის, სკოლის როლი ბავშვის თვითშეფასებაზე და შემდგომ ძალადობის ფორმირებაზე? გადაცემის მსვლელობისას განიხილეს სკოლებში უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებათაშორისი ჯგუფის მიერ მომზადებული „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი უფრო კონკრეტულად კი ხაზი გაუსვევს მანდატურის სამსახურის რეფორმას.

ბ) გადაცემის მიზანი: როგორ უნდა მოხდეს ძალადობის პრევენცია და რა გავლენას მოახდენს უსაფრთხო სკოლის ახალი კონცეფცია აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე.

გ) რესპონდენტები:

ლია გიგაური – განათლების მინისტრის მოადგილე

მარიამ ჯაში – საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე

მაია ცირამუა – ბავშვთა ფსიქოლოგი

რეზო აფხაზავა – განათლების მკვლევარი

მეგი კავთუაშვილი – მშობელი

მანანა ბეგიაშვილი – მასწავლებელი

ნათია ფურცელაძე – მასწავლებელი

ხათუნა ხუბეჟოვი – მანდატური

თეონა ჩიტიაშვილი – ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის უფროსი

დასკვნა: გადაცემა ბულინგსა და მისი პრევენციის გზებზე მოგვითხრობს. გადაცემის მსვლელობისას ისაუბრეს უსაფრთხო სკოლის კონცეფციის მხოლოდ ერთ კომპონენტზე – მანდატურის სამსახურის რეფორმაზე, როგორც ბულინგისა და მოზარდებში დანაშაულის შემცირების ერთადერთ გამოსავალზე, მაშინ როცა ჩაგვრა ფართო თემაა და მოიცავს როგორც მოსწავლეებს შორის არსებულ ძალადობას, ისე - ზრდასრულებსა და ბავშვებს შორის არსებულ პრობლემებსაც და მისი პრევენციისა თუ გადაჭრის გზა არაერთ ფაქტორზეა დამოკიდებული. როგორც 2012 წელს გამოქვეყნებულ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროექტის - „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირების" - ფარგლებში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიულ დოკუმენტშია განმარტებული, ჩაგვრის მრავალი გამოვლინება ის მოიცავს ფიზიკურ შეურაცხყოფას, მუქარას, დაშინებას, ჭორების გავრცელებას, დაცინვას, გარიყვას, რაიმეს დაძალებას, გამოძალვას, იარლიყების მიწებებას და სხვა. (http://cdi.org.ge/main/wp-content/uploads/2012/04/PP_safeschool_Jana-shia-Gorgodze1.pdf)

საკითხის უფრო სიღრმისეული ცოდნა გახლდათ მნიშვნელოვანი გადაცემის პროდიუსერის, ავტორისა თუ წამყვანის მხრიდან, რათა პრობლემის მრავალმხრივი გაშუქება განხორციელებულიყო. აღნიშნულ გადაცემაში აგრეთვე, ფაქტობრივად არ იყო წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები, თუნდაც იმის თვალსაჩინოებისთვის პროცენტულად მოსწავლეების რა ნაწილისთვისაა ძალადობა სასკოლო ცხოვრების ნაწილი, რამდენად არის კავშირში საქართველოში ძალადობა სოციალურ სტატუსთან, სად და რა პერიოდში ხდება ხოლმე ძალადობა და ა.შ. აღსანიშნავია ის, რომ გადაცემის წამყვანმა განაცხადა,რომ სურდათ გაერკვიათ არსებობს თუ არა მოზარდებში ძალადობის, ბულინგისა და ჩხუბის სტატისტიკა, მათ მიმართეს შესაბამის ორგანოებს, თუმცა აღმოჩნდა, რომ სტატისტიკა არ არსებობს, თუმცაღა შეეძლოთ წარმოედგინათ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები თუნდაც იმის თვალსაჩინოებისთვის პროცენტულად მოსწავლეების რა ნაწილისთვისაა ძალადობა სასკოლო ცხოვრების ნაწილი და ა.შ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გადაცემაში ბულინგზე, ჩხუბზე საუბრისას ინტერვიუებს მხოლოდ ბიჭებთან ვეცნობით, შესაბამისად სქესთა შორის ბალანსი დარღვეულია და მაყურებელს უქმნის ისეთ ასოციაციას თითქოს აღნიშნული საკითხი მხოლოდ მოზარდი ბიჭებისთვისაა მძაფრი. აქ არ გახლავთ საუბარი ძალადობის გამოვლინებებისა და მათი განსხვავებული გავრცელების შესახებ გოგონებსა და ბიჭებს შორის.

დაბოლოს, უპრიანი იქნებოდა თუ გადაცემის რამდენიმე წუთი დაეთმობოდა განათლების სასკოლო სისტემის ერთერთი ძირითადი გამოწვევის – განათლების ხარისხისა და ბულინგის ურთიერთმიმართებას.მნიშვნელოვანია იმაზე აქცენტირება თუ როგორ აისახება ძალადობის შემცირება სკოლებში განათლების ხარისხზე. მაგალითად, 2012 წელს გამოქვეყნებულ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის პროექტის - „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის ადვოკატირების" - ფარგლებში უსაფრთხო სკოლის პოლიტიკის ალტერნატიულ დოკუმენტში ვეცნობით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (ავტორიზაცია, აკრედიტაცია...) არ განაწყობს სკოლას ძალადობის შემცირებისაკენ. მაგალითად, აკრედიტაციის ინსტრუმენტებში არ არის ასახული

სკოლებში უსაფრთხოებასთან – ძალადობასთან დაკავშირებული საკითხები.

3.საუკეთესო მასწავლებლები ცვლილებებზე

(https://1tv.ge/live/realuri-sivrce-sauketeso-maswavleblebi-cvlilebebze-live/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი)

ა) სინოფსისი: 2018 წლის 29 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ვებ გვერდზე გამოქვეყნდა „რეალური სივრცის" გადაცემა სახელწოდებით:"საუკეთესო მასწავლებლები ცვლილებებზე". გადაცემაში წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა ეროვნული ჯილდოს კონკურსანტ მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილების მოკლე სიუჟეტები იმის საილუსტრაციოდ თუ რა მიდგომებს იყენებენ ისინი საგაკვეთილო პროცესში. საუბარი იყო აგრეთვე მასწავლებელთა გლობალური ჯილდოს კონკურსის შესახებ და ზოგადად, მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებზე.

გადაცემის ფარგლებში ძირითადი აქცენტები დასმული იყო აგრეთვე ზოგადი განათლების რეფორმაზე, კერძოდ, სკოლის ახალი მოდელის კონცეფციაზე, რომელშიც იგულისხმება: სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების კომპლექსური აზროვნების განვითარება,მოსწავლის პიროვნული განვითარება, გააზრებული სწავლა–სწავლების კულტურა,ეროვნული და კულტურული ფასეულობები, ინოვაცია და ტექნოლოგიები,როგორც ცოდნის შემენისა და გაზიარების ინსტრუმენტი და ა.შ

გადაცემაში ისაუბრეს აგრეთვე იმაზე თუ რა როლი აქვს მასწავლებელს მოზარდის პიროვნულ განვითარებაზე, რა უნარების გამომუშავებაზე უნდა იზრუნოს მასწვალებელმა,რა მოთხოვნა უნდა წაუყენოს სახელმწიფომ სკოლას იმისათვის, რომ თანამედროვე განათლების პროცესებს აუწყოს ფეხი, რა მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის ანაზღაურებას ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისით.

ბ) გადაცემის მიზანი: ზოგადი განათლების რეფორმის, კერძოდ, სკოლის ახალი მოდელის კონცეფციის განხილვა. სასკოლო ცხოვრებაში დაგეგმილი ცვლილებების ანალიზი, ხარისხიანი თანამედროვე განათლების მისაღწევად.

გ) რესპონდენტები: მანანა კაპეტივაძე – ბაღდათის მე-2 საჯარო სკოლის ინგლისურისა და რუსულის მასწავლებელი

ელისო აბრამიშვილი – ილია ჭავჭავაძის სახელობის საჩხერის მე-2 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი

ჯაბა ლაბაძე – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სურამის მე-2 საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ლელა კოტორაშვილი – თბილისის წმ. გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის მასწავლებელი

დაჩი ნანობავილი – თბილისის „საერთაშორისო აკადემია ლოგოსის“ მათემატიკის მასწავლებელი

ლელა ხარაზიშვილი – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სურამის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე

თეკლა ლომიძე – ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის სურამის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლე

რეზო აფხაზავა – კოალიციის ,,განათლება ყველასთვის-საქართველო“პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი

ირინა ხანთაძე – კოალიციის ,,განათლება ყველასთვის-საქართველო“ გამგეობის თავმჯდომარე

გიორგი ჭანტურია – კოალიციის ,,განათლება ყველასთვის-საქართველო“ დირექტორი

მანანა რატიანი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

სოფო ლობჟანიძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი

დასკვნა: გადაცემა აქტუალურ თემას მიეძღვნა და ფაქტობრივად, განათლების პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილ ცვლილებებზე გამახვილდა ყურადღება,თუმცაღა სამინისტროს არცერთი წარმომადგენელი არ გახლდათ სტუდიაში, რაც ბალანსის პრობლემას ქმნის. დაგეგმილი რეფორმის არსი ზედმეტად ზედაპირულად განიხილეს. ძირითადი აქცენტი მასწავლებლის როლზე,მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაზე, მოსწვალე–მასწავლებლის ურთიერთობასა და მასწავლებლის ხელფასზე გაკეთდა, თავად რეფორმის შინაარსი კი გაუგებარი დარჩა მაყურებლისთვის. უმჯობესი იქნებოდა თუ უფრო მეტ არგუმენტს მოვისმენდით იმის შესახებ, რა კავშირშია მასწავლებელი ხარისხიან განათლებასთან. არ იქნებოდა ურიგო, თუ კვლევების შედეგებს მოიხმობდნენ გადაცემაში.ცნობილია, რომ სწავლისა და სწავლების პროცესის ხარისხის მთავარი

განმსაზღვრელი პერსონა სწორედ,რომ მასწავლებელია და მათი ცოდნის დონე, არც ისე სახარბიელოა, რასაც ცხადყოფს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები. ეს კი მოსწავლეთა ცოდნის დაბალი დონის პირდაპირპროპორციულია. როდესაც გადაცემაში მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციაზე საურობდნენ, ამ პროცესის საჭიროების განსამტკიცებლად არ ურპიანი იქნებოდა იმაზეც

გამახვილებულიყო ყურადღება,რომ მასწავლებლობას, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, ირჩევენ ყველაზე დაბალი აკადემიური მზაობის მქონე ახალგაზრდები. ამის ერთერთი მიზეზი კი მასწავლებლის ხელფასია. საერთაშორისო კვლევები კი აღნიშნული საკითხის გადაჭრის გზად სწორედ, რომ მასწავლებლის ხელფასში ინვესტირებას მიიჩნევენ (საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია, 2013)

4. **რას შეცვლის გამოცდების გაუქმება**

ა) სინოფსისი: 2019 წლის 2 მაისს საზოგადებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გადაცემა „რეალური სივრცის“ ეთერი დაეთმო განათლების რეფორმას, მე–11, მე–12 კლასში ე.წ CAT–ის გამოცდების გაუქმების საკითხს. გადაცემაში აგრეთვე განიხილეს 2020 წლიდან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ზოგადი უნარების მოხსნის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ტექნიკურ მიმართულებაზე სავალდებულო ორი საგნის ქართულისა და უცხო ენის, ხოლო ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებაზე – ისტორიის დამატების საკითხი. დისკუსია გაიმართა იმაზე,თუ როგორია, ზოგადად, განათლების სამინისტროს საერთო ხედვა, რა შეიცვლება სასკოლო ცხოვრებაში და როგორ უნდა მივაღწიოთ ხარისხიან საშუალო განათლებას.

წამყვანმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა რეპეტიტორების საკითხზე, მასწავლებელთა კვალიფიკაციასა და მასწავლებელთა სასერტიფიკატო გამოცდების შედეგებზე.

გ)რესპონდენტები: კახა ჯამბურია – გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის

მოადგილე

მანანა რატიანი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-

კონსულტანტი

რეზო აფხაზავა – განათლების მკვლევარი

სიმონ ჯანაშია – განათლების მკვლევარი

მარიამ ჯაში – საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის

წევრი

თამარ მოსიაშვილი – განათლების სპეციალისტი, სამოქალაქო განვითარების

ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი

ზურაბ ვადაჭკორია – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

რუსუდან თევზაძე – საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი

თემო სუყაშვილი – მარნეულის მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგი

ნინო აბულაძე – 47-ე საჯარო სკოლის პედაგოგი

ნათია ბეჟიტაძე – 123-ე საჯარო საშუალო სკოლის პედაგოგი

ელენე მესხი – მე-11 კლასის მოსწავლე
ნიკა ხუციშვილი – მე-12 კლასის მოსწავლე

მათე ჩოლოკავა – მე-12 კლასის მოსწავლე

დასკვნა: გადაცემა დაეთმო განათლების რეფორმას და სწავლა–სწავლების პროცესში ჩართულ ყველა მხარეზე გაკეთდა აქცენტი. მრავალი კუთხით განიხილეს თუ რა გავლენა ექნება აღნიშნულ რეფორმას სკოლაზე, მასწავლებელზე, მოსწავლეზე (მომავალში აბიტურიენტზე) და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაზე.

რეკომენდებული იქნებოდა, თუკი გადაცემის წამყვანი კითხვას დაუსვამდა რეფორმაზე მომუშავე რესპონდენტებს, რომელი ქვეყნის გამოცდილება გაიზიარეს რეფორმის შემუშავების დროს, ამასთანავე როგორ და რა პერიოდის შემდეგ შეფასებენ რეფორმის ეფექტურობას.

გადაცემა „ახალი კვირის“ სიუჟეტები

1.ძალადობა მოზარდებში

(https://1tv.ge/video/dzaladoba-mozardebshi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი)

ა) სინოფსისი: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა მოზარდების მიერ გადაღებულ შემზარავ ვიდეოს, სადაც ისინი თანატოლზე ძალადობენ და ამცირებენ. სიუჟეტში აქცენტი დასმული იყო იმაზე, თუ როგორ რეაგირებს სახელმწიფო, განათლების სამინისტრო, სკოლა მსგავს საგანგაშო შემთხვევებზე. რას აკეთებენ ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციები ბულინგის პრევენციისა და აღმოსაფხვრელად.

ბ) რესპონდენტები: ბულინგის მსხვერპლი ბავშვების მშობლები; ლია გიგაური–განათლების მინისტრის მოადგილე; ნინო კომახიძე–ფსიქოლოგი; სიმონ ჯანაშია–განათლების საკითხების მკვლევარი;

დასკვნა: სიუჟეტი მიეძღვნა სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან გამოწვევას – ბულინგს. სიუჟეტში იმ სკოლის წარმომადგენლის კომენტარი არ იყო (თუ რესპონდენტმა უარი განაცხადა ინტერვიუზე, ჟურნალისტს უნდა ეცნობებინა მაყურებლისთვის), რომლის მოსწავლეზეც მოზარდებმა იძალადეს. უპრიანი იქნებოდა, თუკი ბულინგის პრევენციის რამდენიმე მნიშნელოვან ფაქტორზე გამახვილდებოდა ყურადღება.ეს ერთგავარად მშობლებს დაეხმარებოდა ინფორმაცია მიეღოთ, თუ როგორ შეიძლება თავიანთი შვილი ძალადობისგან დაიცვან. როგორც შემდეგ სახელმძღვანელოში: „ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის“ (2015), არის განმარტებული, სწორედ, რომ ძალადობის წარმომშობი რისკფაქტორებისა და ეფექტური პრევენციის სტრატეგიების გაანალიზებით ნათელი ხდება, რომ სწორედ ოჯახს შეუძლია გახდეს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ძირითადი წყარო.სწორედ, რომ ძლიერი კავშირი მშობელსა და ბავშვს შორის, ძალადობისგან ბავშვის დაცვის აშკარა ფაქტორს წარმოადგენს.

2. დაცლილი ხეობა

(https://1tv.ge/video/daclili-kheoba/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი)

ა) სინოფსისი: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ 2018 წლის 22 აპრილს გავიდა რეპორტაჟი გუდამაყრის ხეობის ერთადერთი სკოლის შესახებ, რომელიც დაცლის პირასაა. სიუჟეტის მიხედვით, გუდამაყრის სკოლაში დარჩენილია შვიდი მოსწავლე. მედიაპროდუქტში საუბარი გახლდათ აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობასა და ეკონომიკურ პირობებზე.

ბ) რესპონდენტები: ჟუჟუნა წიკლაური – გუდამაყრის სკოლის დირექტორი; ეთერ წიკალური– სოფელ ზანდუკის მცხოვრები; ლიზა წიკლაური–სოფელ ზანდუკის მცხოვრები; ხატია ჩოხელი– სოფელ ზანდუკის მცხოვრები.

დასკვნა: სიუჟეტი გარკვეულწილად მაღალმთიან რეგიონში განათლების ხელმისაწვდომობას მიეძღვნა. გუდამაყრის ხეობა უზრუნველყოფილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებით, თუმცა ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობა განათლების მიღების, დასაქმებისა ან საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას სხვა ტერიტორიაზე ეძებს, რაც ნეგატიურ დემოგრაფიულ და მიგრაციულ დინამიკას განაპირობებს. ეს ყოველივე კი ხეობის დაცლის გამომწვევ მიზეზად იქცევა. საგულისხმოა, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო ცდილობს მაღალმთიან რეგიონებში შექმნას ისეთი პირობები, რომ მიგრაციის დინამიკა შემცირდეს და მთაში ახალგაზრდების შენარჩუნება მოხერხდეს. 2018 წელსაც შემუშავდა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2019-2023“, რომლის ძირითადი მიზანიც წინა წლების სტრატეგიისგან არ განსხვავდება, თუმცა ფაქტია, რომ დღითიდღე ხეობა იცლება და უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში ხეობის 22 სოფლის ერთადერთ სკოლაში 22 ბავშვიდან 6 ბავშვი ირიცხება. უმჯობესი იქნებოდა, თუკი ჟურნალისტი ზემოთ ხსენებულ სტრატეგიაზე გამახვილებდა ყურადღებას და შეეცდებოდა იმის გარკვევას, თუ რატომ ვერ ახერხებს სახელმწიფო მისი მრავალწლიანი მცდელობის მიუხედავად, მთიან რეგიონებში მოსახლეობის

შენარჩუნებას(http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/magalmtiani_dasaxlebebis_ganvitarebis_strategia_2019-2023_proekti_final.pdf)

3. აღზრდის ძალადობრივი მეთოდები

(https://1tv.ge/video/aghzrdis-dzaladobrivi-metodebi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი)

ა) სინოფსისი: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ 2018 წლის 29 აპრილს გავიდა სიუჟეტი მოსწავლეთა მიმართ ძალადობის შესახებ.

„ახალი კვირა“ თბილისსა და რეგიონში რამდენიმე სკოლასა და ბაღს ესტუმრა და გაარკვია, რა მეთოდს იყენებენ მასწავლებლები და მშობლები ბავშვის დასასჯელად.

სიუჟეტში საუბარი იყო მასწავლებლების მხრიდან ბავშვებზე სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე და მშობლებზე, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათს შვილებზე აღმზრდელ–პედაგოგებმა იძალადეს.

ბ) რესპონდენტები: ლალი იარაჯული– ლაფანყურის სკოლის დირექტორი; მალხაზ მელქუაშვილი– ლაფანყურის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელი; ნადია ზურაშვილი– ბაღის აღმზრდელი პედაგოგი; ინგა ყოინაშვილი – აღმზრდელ–მასწავლებელი; ბელა გონაშვილი–აღმზრდელ–მასწავლებელი; ოლიკო თითიაშვილი–მშობელი; კახაბერ გვანცელაძე– ბაგა–ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი; მაია ქურციკიძე– გაეროს ბავშვთა ფონდის კომუნიკაციების პროგრამის ხელმძღვანელი; ნინო ღვინიაშვილი– მოსწავლე; სოფი ყალარაშვილი– მოსწავლე; დეა ბაკაშვილი– მოსწავლე; ანი სიფრაშვილი– მოსწავლე; მარიამ ზედელაშვილი– მოსწავლე; ლიკა კეჭაღმაძე–მოსწავლე.

გ) დასკვნა: სიუჟეტი ნათლად და მკაფიოდ წარმოადგენს პრობლემას, რომელსაც ბულინგი ჰქვია, თუმცაღა საუბარი გადაჭრის მეთოდებსა და პრევენციაზე , ფაქტობრივად, არ არის. იმის ფონზე, რომ გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს – 45% ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენებას დასაშვებად მიიჩნევს, ბავშვის აღზრდისას ძალადობრივ მეთოდებს კი მოსახლეობის

60% იყენებს(https://www.unicef.org/georgia/media/2066/file), აუცილებელია საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყოს ზრუნვა აღნიშნული პრობლემის მოგვარებაზე, მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა შედეგი მოჰყვება აღზრდის ძალადობრივ მეთოდებს და აუცილებლად მიაწოდოს ინფორმაცია აღზრდის ალტერნატიულ საშუალებაზე. სწორედ, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება შეუწყობს ხელს ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი ნულოვანი ტოლერანტობის ჩამოყალიბებას.

საგულისხმოა ისიც, რომ მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ნათქვამია: *„მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.– (მუხლი4).* ამასთანავე, კოდექსის თანახმად, მასწავლებელმა თანაბარი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, სოციალური კუთვნილების ან სხვა ნიშნისა და უნდა იზრუნოს, იმისათვის რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება, მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ შეზღუდული შესაძლებლობის მიუხედავად (http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeqsi.pdf).

უმჯობესი იქნებოდა, თუკი ჟურნალისტი სიუჟეტში აღნიშნავდა, თუკი მასწავლებელი მოზარდზე ძალადობს და არ აძლევს მას ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, ეს სწორედ, რომ ეთიკის კოდექსის დარღვევაა.

სიუჟეტში ასევე არ გახლდათ ხაზგასმული ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც, სწორედ, ზემოთ ხსენებულ პრობლემებს ეხმიანება. საქართველოს მთავრობამ 2017 წელს დაამტკიცა ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტი და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ერთერთი მიზანი, ნებისმიერი ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან განმავითარებელი უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ხელშეწყობაა(https://matsne.gov.ge/ka/document/view/3837404?publication=0)

აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტი კი ავალდებულებს მასწავლებს უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობების/ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე თითოეული ბავშვის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესში სრულფასოვანი ჩართულობა, აუცილებელია განსაზღვროს ბავშვთან მუშაობის ინდივიდუალური მეთოდები და მიდგომები ითანამშრომლოს თითოეული ბავშვის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებსა და უწყებებთან.აუცილებლად უნდა მოახდინოს გარემოსა და სწავლა-სწავლების მეთოდების მორგება ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით (მე–14 მუხლი).

მნიშვნელოვანია აგრეთვე არასწრულწლოვანთა განათლების დონის ამაღლება მათ უფლებებსა და შესაძლებლობებზე.როგორც შემდეგ სახელმძღვანელოში ვეცნობით: „ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის“ (2015), ბავშვზე ძალადობამ, შეიძლება, ჯანმრთელობის შემდეგი პრობლემები გამოიწვიოს: ფსიქიკური დარღვევები, სუიციდური ქცევები, გულის იშემიური დაავადებები, სიმსივნე და ა.შ. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს აღენიშნებათ აგრეთვე ქცევითი რისკფაქტორები: სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება... შედარებით მოზრდილ ბავშვებში კიარასრულფასოვნების განცდის გამო ხშირად ძლიერი დეპრესია ვითარდება.

4.თანამედროვე ბოშები

(https://1tv.ge/video/tanamedrove-boshebi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი)

ა) სინოფსისი: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც მიეძღვნა ქობულეთში მცხოვრებ ბოშებსა და მათს დამოკიდებულებას განათლების მიღებასთან დაკავშირებით. სიუჟეტის თანახმად, მომთაბარე ცხოვრების მოყვარული ბოშების დიდი ნაწილი სკოლაში არ დადის, ნაწილი დაწყებითი საფეხურის შემდეგ თავს ანებებს სკოლას და მხოლოდ იშვიათი გამონაკლისები აგრძელებენ სწავლას უმაღლეს სასწავლებლებში. სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა ბოშების ყოველდღიური ცხოვრების წესსა და რელიგიაზეც.

ბ) რესპონდენტები: ნარგიზ ჯინჭარაძე– ქობულეთის მე–5 საჯარო სკოლის დირექტორი, აზიზ ალიმოვი– ბოშა; ჯუმბერ ალიმოვი– მოსწავლე; ვლადიმერ შაბანოვი– ქობულეთში მცხოვრები ბოშა.

დასკვნა: გადაცემა „ახალ კვირაში“ გასული სიუჟეტი რამდენიმე საკითხს შეეხო, მათ შორის: განათლებას, რელიგიას, ყოველდღიურ საქმიანობასა და მათი ცხოვრების წესს. სიუჟეტში სიღრმისეულად არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის განხილვა არ გახდა შესაძლებელი. მცირე პასაჟი მიეძღვნა იმ საკითხს, რომ ბოშების ძალიან მცირე ნაწილი ირჩევს განათლებას, ხოლო ამის გამომწვევ მიზეზებსა და პრობლემებზე ზედაპირული პასუხის მოსმენა გახდა შესაძლებელი. სიუჟეტი ვერც იმას იუწყება, თუ რას აკეთებს სახელმწიფო იმისათვის რომ ქართულ სახელმწიფოში მცხოვრები ბოშებისთვისაც განათლება გახდეს ხელმისაწვდომი და პრიორიტეტული არჩევანი.

5.განათლების რეფორმა

(https://1tv.ge/video/ganatlebis-reforma-2/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ახალ რეფორმას მიეძღვნა. მიზანი განათლების ხუთივე საფეხურის: ბაღის, სკოლის, პროფესიული კოლეჯის, უმაღლესისა და მეცნიერების ერთ სისტემაში მოქცევაა. ამავე რეფორმის ფარგლებში უნდა შეიცვალოს ეროვნული გამოცდების სისტემა და უნივერსიტეტების დაფინანსების სქემა.

რესპონდენდენტები: მიხეილ ბატიაშვილი–განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

დავით ლიპარტელიანი– განათლების სპეციალისტი

თამარ ჯაყელი– ეროვნული სასწავლო გეგმების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგების დეპარტამენტის ხელმძღვანელია

ზურაბ ჯაფარიძე– პოლიტიკური ცენტრ „გირჩის“ ლიდერი.

დასკვნა: განათლების სისტემაში დაგეგმილ რეფორმას მიეძღვნა სიუჟეტი, თუმცა მისი სიღრმისეული განხილვა ვერ მოხერხდა. სიუჟეტში მოვისმინეთ აგრეთვე ერთერთი პოლიტიკური პარტიის მიერ ინტერნეტსკოლის შექმნის იდეაზე ინტერვიუ, რაც თემის გადახვევად შეიძლება მივიჩნიოთ. ინტერნეტსკოლას პირდაპირი კავშირი არ აქვს ჟურნალისტის მიერ დაანონსებულ საკითხთან. სიუჟეტში არ გაჟღერდა ის რისკები, რაც განათლების მორიგი რეფორმის განხორციელებას შეიძლება ახლდეს თან და არც იმაზე გაკეთდა აქცენტი, თუ რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე შეიძლება დააყენოს აღნიშნულმა რეფორმამ განათლების სისტემა. მედიაპროდუქტში ვერ მოვისმინეთ განათლების დარგის ექსპერტების კომენტარი რეფორმის დადებით და უარყოფით მხარეებთან დაკავშირებით. სიუჟეტის ბოლოს თავად ჟურნალისტმა გააჟღერა,რომ განათლების დარგის სპეციალისტების უმეტესობა დაგეგმილ ცვლილებებს დადებითად აფასებს, თუმცა ამის შესაბამის კომენტარს რესპონდეტებისგან ვერ ვიგებთ.

6.განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები

(https://1tv.ge/video/ganatlebis-gareshe-darchenili-bavshvebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც ფშავ-ხევსურეთში არსებულ სამ სკოლა-პანსიონში შეჩერებულ სასწავლო პროცესსა და განათლების გარეშე დარჩენილ ბავშვებს ეხება.

სიუჟეტში საუბარია დაგვიანებულ ზრუნვაზე ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ახალი რეგულაციების შედეგად შექმნილ მოულოდნელ პრობლემაზე.

რესპონდენტები: დარიკო მურღუევი– მშობელი; თათია ლიქოკელი – ბარისახოს საჯარო სკოლის მოსწავლე; შორენა ჭინჭარაული– მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრ „ბარისახოს“ დირექტორი; თამილა ნადირაშვილი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; ნინო ვერძეული – დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ხელშემწყობი ცენტრის გენერალური დიქრექტორი; ირმა ბურდულაძე– ლიცენზირებისა და აკრედიტაციების დეპარტამენტის უფროსი;გიორგი თანიაშვილი – დუშეთის

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; ეკატერინე ხუციშვილი – ზოგადი განათლების სამმართველოს უფროსი.

დასკვნა: სიუჟეტში სიღრმისეულადაა პრობლემა წარმოჩენილი და სრულ სურათს ასახავს თუ რატომ შეჩერდა ფშავ–ხევსურეთის სკოლა–პანსიონში სასწავლო პროცესი და როგორ უნდა მოგვარდეს არსებული დაბრკოლება პასუხისმგებელი ორგანოებისა თუ ინსტიტუციების მხრიდან.

7.სკოლამდელი განათლების პრობლემები

(https://1tv.ge/video/skolamdeli-ganatlebis-problemebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც სკოლამდელი დაწესებულებების პრობლემას მიეძღვნა. სიუჟეტში საუბარი იყო იმაზე, რომ ზოგიერთ რეგიონში (განსაკუთრებით იქ სადაც კომპაქტურად ჩასახლებული ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ცხოვრობს) სკოლამდელი დაწესებულებები არ არსებობს, ზოგიერთ მათგანში კი ადგილების ნაკლებობაა. სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილი ბავშვების რიცხვი ქვეყნის მასშტაბით არასახარბიელოა. სიუჟეტში ასევე საუბარია იმაზეც, რომ თბილისში სკოლამდელ დაწესებულებებში ჯგუფები გადატვირთულია,რაც განათლების ხარისხზე მეტწილად აისახება. ბაღების ეროვნული სააგენტო პრობლემის მოგვარებას პერიოდულად ბაღების მშენებლობით გეგმავს.

რესპონდენტები: ლიანა ტოკმაჯიანი– წითელი სოფლის მცხოვრები; შოღიკ აკოფიანი – წითელი სოფლის ახალგაზრული ცენტრის დამფუძნებელი; ანა ჯანელიძე– გაეროს ბავშვთა ფონდის სკოლამდელი განათლების სპეციალისტი; ჟუჟუნა ვაქსაძე– სოფელ მარადისის მცხოვრები; ანჟელა ბოლქვაძე– სოფელ მარადისის მცხოვრები; ეკატერინე ბადურაშვილი– თბილისის მცხოვრები; კახაბერ გვანცელაძე– თბილისის ბაგა–ბაღების მართვსი სააგენტოს ხელმძღვანელი;

დასკვნა: გადაცემა ახალ კვირაში სიუჟეტს შემდეგი სახელწოდება აქვს:“სკოლამდელი განათლების პრობლემები“, თუმცაღა სიუჟეტში მხოლოდ რამდენიმე პრობლემაზე გამახვილდა ყურადღება. უმჯობესი იქნებოდა თუკი უფრო

კონკრეტულ სათაურს შეურჩევდნენ მედიაპროდუქტს, რათა მაყურებელს არ დარჩეს შთაბეჭდილება,რომ მხოლოდ რეგიონებში ბაღების ნაკლებობა და ქალაქებში გადატვირთული ჯგუფებია სკოლამდელი განათლების ძირითადი პრობლემები. როგორც 2017-2021 წლების განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაშია ნათქვამი, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლამდელ დაწესებულებში დასაქმებულ პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე , საგანმანათლებლო რესურსების არარსებობა, ინკლუზიური სკოლამდელი განათლების პრინციპების ინტეგრირება აღზრდის პროცესში და ა.შ. (https://bit.ly/2GxxMak)

უპრიანი იქნებოდა თუ ჟურნალისტი სკოლამდელი განათლების აუცილებლობასა და უპირატესობაზეც გაამახვილებდა ყურადღებას. მოგეხსენებათ, 2006 წლის მონაცემებით, მეოთხე კლასში სკოლამდელი განათლების ხანგრძლივობასა და კითხვაში მოსწავლეთა მიღწევებს შორის პოზიტიური კავშირი დაფიქსირდა (Mullis, Martin, Kennedy & Trong, 2007) სკოლამდელ განათლებასა და წიგნიერების მაღალ დონეს შორის დადებითი კორელაცია PIRLS 2011-ითაც დადასტურდა. *„ბავშვები, რომლებიც დადიოდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში, წიგნიერების უფრო მაღალ დონეს აჩვენებენ“* – ნათქვამია PIRLS–ის 2011 წლის ანგარიშში (https://naec.ge/uploads-/images/doc/SXVA/pirls_2011_2013.pdf)

პოზიტიურად უნდა შეფასდეს გრაფიკულად იმ სტატისტიკური მონაცემების (გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგები, რომლებიც ცხადყოფს, პროცენტულად რამდენი ბავშვია დარჩენილი სკოლამდელი განათლების მიღმა ქალაქებსა თუ სოფლებში) მოხმობა, რომლებიც გამოყენებული გახლდათ სიუჟეტში, რადგან მაყურებელს სრული წარმოდგენა შეექმნა პრობლემის მასშტაბურობასა და სირთულეზე.

8.ქართული ენა და ეთნიკური ჯგუფები

(https://1tv.ge/video/qartuli-ena-da-etnikuri-jgufebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც მოგვითხრობს მარნეულში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებზე, რომელთათვისაც სახელმწიფო ენა ბარიერს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლებში ქართულ ენას სწავლობენ, ცოდნის დონე ძალიან დაბალია და მოზარდებს, ფაქტობრივად, ქართულად მარტივი წინადადების თქმაც კი არ ძალუძთ.

რესპონდენტები: ზამან აბიროვი– მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე; ნინო აზარაშვილი– მარნეულის მესამე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი; ამირ მაჰმედოვი– რადიო „მარნეულის“ წამყვანი; ალი ალიევი– სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბენეფიციარი; სამირა ბაირამოვა– „ჟურნალისტთა წსელი გენდერული თანასწორობისთვის“ ქვემო ქართლის კოორდინატორი; ქეთევან მახარაშვილი – სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დირექტორი; თამარ კეკელიძე– განათლების სამინისტროს წარმომადგენელი.

დასკვნა: გადაცემა „ახალი კვირის“ ფარგლებში გასული რეპორტრაჟი ქართული განათლების სისტემის კიდევ ერთ პრობლემას მიეძღვნა. პრობლემის მრავალმხრივი განხილვა ნაწილობრივ განხორციელდა, თუმცაღა საინტერესო იქნებოდა იმის მოსმენა, რატომ ვერ უზრუნველყოფს ენობრივი ბარიერის დაძლევას ის რამდენიმე პროგრამა, რომელთაც სახელმწიფო წლების განმავლობაში ახორციელებს. ამ პროგრამებს შორისაა: “1+4” და "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა”. რეპორტაჟში არაა აღნიშნული თუ რა გახლავთ არსებული პროგრამების არაეფექტურობის მიზეზი. ამ მიმართულებით განხორციელებულია უამრავი კვლევა არასამთავრობო ორგანიზაცია – სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ. საინტერესო იქნებოდა აღნიშნული კვლევების ძირითადი მიგნებების გაჟღერება სიუჟეტში. ამასთანავე, მნიშვნელოვანი იქნებოდა აღნიშნული ცენტრის წარმომადგენლის კომენტარის მოსმენაც სიუჟეტში დასულ პრობლემასთან მიმართებით, რადგან სწორედ ზემოთ ხსენებული ცენტრის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები გახლავთ ამ

კონკრეტული საკითხის მკვლევარი/მკვლევრები, შესაბამისად სიღრმისეული ანალიზისა და ობიექტური შეფასების მოსმენის შესაძლებლობას მისცემდა/მისცემდნენ მაყურებელს.

საინტერესო იქნებოდა იმ გამოწვევებზე აქცენტის დასმაც, რომლებიც ეთნიკური უმცირესობების სახელმწიფო ენის არცოდნას თან ახლავს. მაგალითად, მათი შესაძლო ჩართულობის თავიდან არიდება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საინტერესო იქნებოდა აღნიშნულ თემატიკაზე პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მოსაზრების მოსმენა, რადგან სწორედ აღნიშნულ ცენტრს ეკუთვნის თუნდაც არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება.

9.სოფლის ერთადერთი მოსწავლე

(https://1tv.ge/video/soflis-ertaderti-moswavle/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სოფელ კიკიბოს ერთადერთ მოსწავლესა და ერთადერთ მასწავლებელზე მოგვითხრობს. სკოლა დაჟანგული ვაგონის გადაკეთებით შექმნეს, სადაც მეოთხეკლასელ რამინის გაკვეთილი უტარდება. 10 წლის ბიჭის ოცნება თანაკლასელებთან ერთად გაკვეთილზე ყოფნა და მათთან ერთად თამაშია.

რესპონდენტები: ნანა მაცაბერიძე– მასწავლებელი; რამინ გობაძე– მოსწავლე; დალი ხარაბაძე– რამინის დედა.

დასკვნა: გადაცემა „ახალი კვირის“ წამყვანმა რეპორტაჟის წარდგენისას განაცხადა, რომ დაუსრულებელი საგანმანათლებლო რეფორმების გამო უწევს მოზარდს ე.წ სკოლა–ვაგონში სწავლის გაგრძელება, თუმცაღა რეპორტაჟის შინაარსი მთლიანად მოსწავლის შესახებ ამბის თხრობაზეა დაფუძნებული და გარკვეულწილად ამბის რომანტიზებას ვაწყდებით. მაყურებლისთვის გაუგებარი ის თუ რომელი რეფორმის გამო უწევს

მოზარდს სკოლა–პანსიონში ცხოვრება, რაც ინფორმაციის სიზუსტესა და სიცხადეს ეჭქვეშ აყენებს.

უმჯობესი იქნებოდა ერთზე მეტი პოზიციიდან საკითხის განხილვა ბალანსის შესანარჩუნებლად. ვერსად ვხვდებით პასუხისმგებელი პირებისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტების კომენტარს, რომლებიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავიანთ მოსაზრებას დააფიქსირებდნენ და წამყვანის დაანონსებულ „ბრალდებას“, საგანმანათლებლო რეფორმების გამო სოფელ კიკიბოს ერთადერთი მოსწავლის არასათანადო სასწავლო გარემოს არსებობაზე, პასუხს გასცემდნენ მაყურებელს.

10. **მშობლები სტიგმის წინააღმდეგ**

(https://1tv.ge/video/mshoblebi-stigmis-winaaghmdeg/ **ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)**

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც აუტისტი ბავშვებისა და მათი მშობლების შესახებ მოგვითხრობენ. სტიგმა,რომელსაც საბავშვო ბაღის აღმზრდელი პედაგოგები, მშობლები და, ზოგადად, საზოგადოება ამკვიდრებს, ხელს უშლის აუტისტი ბავშვების სრულფასოვან ცხოვრებასა და განათლების მიღებას. დედებს მუდმივად ბრძოლა უწევთ მათი შვილის უფლებებების დასაცავად და საზოგადოებაში არსებული სტიგმის დასამსხვრევად. ფსიქოლოგი, რომელიც ერთერთ საბავშვო ბაღშია დასაქმებული, აუტისტ ბავშვს ნაცვალსახელებით მოიხსენიებს.სიუჟეტში ასევე საუბარია ბაღებში სპეციალური პედაგოგების სიმცირეზე.

რესპონდენტები: ნინო თურმანიძე– მშობელი; თეა ლიკლიკაძე– ხაშურის მე–7 ბაგა–ბაღის ფსიქოლოგი; მანანა მიხელიძე ;ნინო გულიაშვილი– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სკოლამდელი აღზრდის სპეციალისტი; მარიამი გოგინაშვილი – ბაგა–ბაღების განვითარების განყოფილების უფროსი.

დასკვნა: სიუჟეტი მეტად მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა, გაჟღერდა პრობლემა, თუმცაღა პრობლემის გადაჭრის გზებზე ნაკლები არგუმენტი მოვისმინეთ. სიუჟეტის თანახმად, ბაღების მართვის სააგენტოში მშობელთა დიდი ნაწილი რეკავს იმ მიზნით, რომ არ სურს თავისი შვილი აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთან ერთად იღებდეს

განათლებას, სწორედ ესაა ერთერთი მიზეზი იმისა, რომ აუტისტ ბავშებს არათანაბარ პირობებში უწევთ განათლების მიღება და მათი უფლებები ხშირად ირღვევა. საზოგადოებრივ მაუწყებელს არა მხოლოდ სოციუმში არსებული პრობლემების გაჟღერება ევალება, არამედ გადაჭრის გზების ძიებაც. მან სრულად უნდა იკისროს საგანმანათლებლო ფუნქცია, რათა საზოგადოებაში ჯანსაღი აზრის ფორმირებას შეუწყოს ხელი. აუცილებელია, საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ თუნდაც აუტიზმი გადამდები არ არის და, რომ სპეციალური საჭიროების მქონე პირებთან კომუნიკაციით ბავშვები უფრო მეტად ემპათიურები ხდებიან. გაეროს ბავშვთა ფონდის ბოლო მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტს ნეგატიური დამოკიდებულება აქვს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ. აუცილებელია მოსახლეობას ცრუ შიშები გაუქრეს და სტიგმაც დაიმსხვრევა. შესაბამისად, მხოლოდ პრობლემის გაჟღერება საკმარისი არ არის, აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე ზრუნვა, რათა ყველა ბავშვს შეეძლოს თანაბარ პირობებებში მიიღოს განათლება და თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს.

უპრიანი იქნებოდა თუ განათლების სამინისტროს ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს წარმომადგენლის კომენტარსაც მოვისმენდით აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით.

11. ჰიგიენური ნორმები სკოლებში

(https://1tv.ge/video/higienuri-normebi-skolebshi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი:საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის გადაცემა „ახალ კვირაში“ გავიდა სიუჟეტი, სადაც საუბარია იმაზე თუ რამდენად დაცულია ჰიგიენური ნორმები ზოგადი განათლების სისტემაში, უკავშირდება თუ არა ინფექციური დაავადებების რამდენიმე შემთხვევა თბილისის სკოლებში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს. სიუჟეტში ერთერთი სკოლის მშობელი საუბრობს, რომ მისი შვილი და ასევე რამდენიმე ბავშვი მოიწამლა სკოლის ბუფეტში ნაყიდი საკვების გამო. მედიაპროდუქტში წარმოდგენილი ვიდეო მასალა აჩვენებს იმასაც, რომ სკოლებში

არსებული სველი წერტილები სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით არ სუფთავდება. დამლაგებლები ერთსა და იმავე მასალას იყენებენ საპირფარეშოსა და საკლასო ოთახის ჰიგიენური დამუშავებისთვის, რაც ინფექციის რისკს ზრდის ბავშვებში. განათლების სამინისტროს განცხადებით, აღნიშნული ნორმების დაცვა სკოლის ადმინისტრაციის ვალდებულებაა, თუმცა პერიოდულად გეგმიურ თუ არაგეგმიურ შემოწმებას ახორციელებენ.

რესპონდენტები: თაკო დანელია- მშობელი; თემურ მიქელაძე- ექიმი-პედიატრი; ირმა ომანაძე- 166-ე საჯარო სკოლის დირექტორი; ნია გიუაშვილი- არაგდამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მრჩეველი; ნათია ზედგინიძე- განათლების მინისტრის მოადგილე.

დასკვნა: სიუჟეტი სკოლებში არსებულ სანიტარულ ჰიგიენურ ნორმებსა და დარღვევებზე მოგვითხრობს. ჟურნალისტმა კადრში ერთერთი სკოლის საპირფარეშო გვაჩვენა და ყურადღება იქ არსებულ სუნსა (რომელსაც, კადრიდან ვერ შევიგრძნობთ) და სისუფთავეზე გაამახვილა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ კადრში არსებულ საპირფარეშოში რამდენიმე დარღვევა შეინიშნებოდა, რაც ჟურნალისტის ყურადღების მიღმა დარჩა. მაგალითად, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელოს" მიხედვით, სასკოლო საპირფარეშოებისა და სველი წერტილებისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების თანახმად, სკოლის ყველა სართულზე უნდა არსებობდეს ტუალეტები ბიჭებისა და გოგონებისათვის, რომლებსაც უნდა ჰქონდეს კარიანი კაბინები. უსაფრთხოების მიზნით, კაბინის კარი უნდა იღებოდეს გარეთ, რაც სიუჟეტში მოცემულ სკოლას არ გააჩნდა.კადრში ნაჩვენები გახლდათ კარის გარეშე არსებული კაბინები, რაზეც ჟურნალისტის მხრიდან მნიშვნელოვანი იყო ყურადღების გამახლება.

საყურადღებო სანიტარული კვანძის მოწყობასთან დაკავშირებით არსებული სტანდარტების გაჟღერება, რასაც სამინისტრო უყენებს სკოლებს. მაგალითად: 20 გოგონაზე - 1 უნიტაზი და 30 გოგონაზე - 1 ნიჟარა უნდა არსებობდეს სკოლაში, ხოლო 30 ბიჭზე - 1 უნიტაზი და 1 ნიჟარა. ჟურნალისტი თუკი ღრმად შეისწავლიდა საკითხს,

შეძლებდა გაერკვია რამდენი მოსწავლე (ცალ–ცალკე გოგონები დ ბიჭები) იყო იმ კონკრეტულ სკოლაში და რამდენად აკმაყოფილებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სველი წერტილი ზემოთ მოცემულ სტანდარტს.

სიუჟეტში საუბარი იყო აგრეთვე ბუფეტებზე და იქ არსებულ სანიტარულ ნორმებზე. უმჯოებესი იქნებოდა კადრში ნაჩვენები კვების ბლოკი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ძირითად რეკომენდაციებთან მიმართებით შეფასებულიყო, რაც მაყურებლისთვის უფრო მეტად თვალსაჩინო იქნებოდა და აგრეთვე მათს ინფორმირებულობის ზრდასაც შეუწყობდა ხელს კვების ბლოკის სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების სტანდარტებთან მიმართებით.

მაგალითად, ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციების თანახმად, სასწავლო დაწესებულებებში კვების ორგანიზებისას კვების ბლოკი უზრუნველყოფილი უნდა იყო:

• სასადილო დარბაზისთვის აუცილებელი სათანადო რაოდენობის ავეჯით;

• სათანადო დანიშნულებისა და რაოდენობის ჭურჭლით, რომელიც უნდა ინახებოდეს დახურულ კარადაში ან თაროებზე;

• სათანადო ტევადობის მაცივრ(ებ)ით;

• წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემით;

• ხელსაბანი ნიჟარებით 1ც 20 ადგილზე, რომელიც სასადილო დარბაზთან ან

კვების ბლოკში შესასვლელ კორიდორში უნდა დამონტაჟდეს... (ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო, 2011)

საკითხის სიღრმისეული განხილვისთვის მნიშვნელოვანი გახლდათ ასევე ნორმატიული დოკუმენტის – „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებუ-ლებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორ-მების დამტკიცების შესახებ“ – განხილვა, იმის საილუსტრაციოდ, რომ სანიტარული ნორმები საკანონმდებლო დონეზეა გაწერილი, თუმცა მისი შესრულება საგანამნათ-ლებლო ორგანიზაციების მხრიდან რიგ შემთხვევაში არ ან ვერ სრულდება.

12. ბულინგი და მშობლის როლი

(https://1tv.ge/video/bulingi-da-mshoblis-roli/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი)

სინოფსისი: რა როლი აქვს მშობელს მოზარდის მჩაგვრელად თუ ჩაგრულად ჩამოყალიბებაში, რატომ ხდება ძალადობის წახალისება მამების მხრიდან და სად გადის ზღვარი თავდაცვასა და თავდასხმას შორის.

ბულინგის შემთხვევები დაწყებით კლასებში. როგორ იწყება ბავშვებს შორის ძალადობა და რა გზა არსებობს პრობლემის თავიდან ასაცილებლად

რესპონდენტი: ნინო ჟვანია-მშობელი; ნანა ფრუიძე – გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანმრთელობის და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი; ლექსო გუგავა– მორაგბე; ნონო ანდღულაძე– მორაგბე; ნინო კომახიძე–ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციის ცენტრ „კამარას“ ფსიქოლოგი.

დასკვნა: სიუჟეტი მიეძღვნა სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან გამოწვევას – ბულინგს. სიუჟეტში რამდენიმე საკითხზე იყო აქცენტი დასმული მათ შორის: მშობლები ხშირად ვერ იაზრებენ რა მწვავე შედეგამდე შეიძლება მიიყვანოს ბულინგის მსხვერპლი მოზარდი, მშობლებისა და პედაგოგების დიდი ნაწილი ბავშვებს შორის არსებულ უთანხმოებას ზედმეტად მსუბუქ მოვლენად აფასებს, მშობლების უმეტესობა ძალადობრივ მეთოდს – „დაგარტყამს– შენც დაარტყი“–ს პრინციპს დადებითად მიიჩნევს.

სიუჟეტში არაერთი რესპონდენტის კომენტარი მოვისმინეთ იმის შესახებ, რომ სასკოლო ტერორი – ბულინგი – პრობლემაა, თუმცა როგორ უნდა ვებრძოლოთ ეს სიუჟეტიდან არ ჩანს. ყველა რესპონდენტი მიიჩნევს, რომ ძალადობა მისაღები არ არის, მაგრამ თუკი ის მშობლები, რომლებიც სიუჟეტის ხილვამდე ფიქრობდნენ – „დაგარტყამენ–შენც დაარტყის“ პრინციპი გამართლებული იყო და ახლა ქცევის შეცვლას გადაწყვეტენ, ბულინგის ბრძოლის ალტერნატიულ გზას მედიაპროდუქტი ვერ აწვდის, ისინი კვლავ ვერ შეძლებენ თავიანთ შვილს ჯანსაღი რჩევა მისცენ თუ როგორ ებრძოლონ ძალადობას. მშობელთა პედაგოგიზაციის პროცესის ხელშეწყობას მედიაპროდუქტი არ/ვერ ემსახურება.

სიუჟეტში ზედაპირულად გაჟღერდა ის ფაქტიც, რომ ბულინგს მოზარდის კრიტიკულ

მდგომარეობამდე მიყვანა შეუძლია. მედიაპროდუქტში არ დასახელდა კონკრეტული შედეგები, მაგალითად,როგორც სახელმძღვანელოში: „ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის“ (2015) არის განმარტებული: ძალადობაგანცდილი მსხვერპლი შეიძლება ხაგრძლივი პერიოდის განმავლობაში განიცდიდეს შიშს, თავს დამცირებულად გრძნობდეს, უარს ამბობდეს თანაკლასელებთან ურთიერთობაზე და, შესაძლოა, ტრავმამ სუიციდამდეც კი მიიყვანოს. ამასთანავე, სასკოლო ტერორში ჩართული ბავშვები ხშირად აგრესიის გამოვლენის კრიმინალურ ფორმებს მიმართავენ და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჟურნალისტმა გააშუქა პრობლემა, თუმცა არ შემოგვთავაზა მოგვარების გზა და ვერ მოახერხა საზოგადოების სათანადოდ ინფორმირება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

13. ბულინგი სკოლებში

(https://1tv.ge/video/bulingi-skolebshi/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი)

სინოფსისი: 2018 წლის 23 დეკემბერს გადაცემა „ახალი კვირის“ ფარგლებში გავიდა გადაცემა ,რომელიც სასკოლო ცხოვრების მნიშვნელოვან გამოწვევას – ბულინგს მიეძღვნა.რეპორტაჟი მოსწავლეების მიერ ანონიმურად დაწერილი წერილები ჩაგვრისა და დამცირების შემთხვევებზე მოგვითხრობს. რეპორტაჟში ხაზგასმულია, რა მძიმე პირობებში უწევს ზოგიერთ მოზარდს სწავლა. ამასთანავე, განხილულია გაეროს ბავშვთა ფონდისა და სახალხო დამცველის კვლევის ანგარიშები ბულინგის,როგორც მნიშვნელოვანი სასკოლო პრობლემის, დასამტკიცებლად. რეპორტაჟში ასევე მოვისმინეთ მანდატურის სამსახურის ახალ სერვისზე, რომელიც ბულინგის პრევენციის მიზნით შეიქმნა.

რესპონდენტები: თამარ მამსიკაშვილი- 64-ე საჯარო სკოლის დირექტორი; თეონა ჩიტიაშვილი - მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის უფროსი.

დასკვნა: რეპორტაჟი სასკოლო განათლების თანმდევ პრობლემაზე- ბულინგზე მოგვითხრობს. დადებითად უნდა შეფასედეს იმ კვლევების მიმოხილვა, რომლებიც საკითხთან დაკავშირებულ სიღრმისეული ანალიზის საშუალებას იძლევა (რეპორტაჟში გაჟღერდა გაეროს ბავშვთა ფონდისა და სახალხო დამცველის კვლევის ანგარიშები). ჟურნალისტმა სათანადო ყურადღება არ დაუთმო იმ საკითხს თუ რა უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ე.წ ჩაგრულებზე ბულინგის ფაქტებმა. როგორც შემდეგ სახელმძღვანელოში ვეცნობით: „ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის“ (2015), ბავშვზე ძალადობამ, შეიძლება, ჯანმრთელობის შემდეგი პრობლემები გამოიწვიოს: ფსიქიკური დარღვევები, სუიციდური ქცევები, გულის იშემიური დაავადებები, სიმსივნე და ა.შ. ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს აღენიშნებათ აგრეთვე ქცევითი რისკფაქტორები: სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლისადმი მიდრეკილება... შედარებით მოზრდილ ბავშვებში კი არასრულფასოვნების განცდის გამო ხშირად ძლიერი დეპრესია ვითარდება. (ე.წ მჩაგვრელებზე მოვისმინეთ რამდენიმე არგუმენტი, თუ რა ზიანი შეიძლება მათ მომავალში მიადგეთ).

რეპორტაჟში აგრეთვე გაჟღერდა ფრაზა იმის შესახებ, რომ ხშირად მასწავლებლებიც ჩაგრავენ მოსწავლეებს და, რომ თავში წამორტყმა, ყვირილი, ცემა და მსგავსი უხეში ქმედებები მათი მხრიდან ძალადობად არ აღიქმება. საგულისხმოა ისიც, რომ მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ნათქვამია: *„ მასწავლებელი არ აყენებს მოსწავლეს სიტყვიერ ან ფიზიკურ შეურაცხყოფას და არ ახდენს მასზე ემოციურ (ფსიქოლოგიურ) ზეწოლას.– (მუხლი4).* ამასთანავე, კოდექსის თანახმად, მასწავლებელმა თანაბარი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ყველა მოსწავლის მიმართ, განურჩევლად სქესის, რასის, ენის, სოციალური კუთვნილების ან სხვა ნიშნისა და უნდა იზრუნოს, იმისათვის რომ ყველა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი განათლება (http://old.tpdc.ge/uploads/pdf_documents/maszavleblis_eTikis%20kodeqsikodeqsi.pdf)

უმჯობესი იქნებოდა, თუკი ჟურნალისტი სიუჟეტში აღნიშნავდა, თუკი მასწავლებელი მოზარდზე ძალადობისას და არ აძლევს მას ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას, ეს სწორედ, რომ ეთიკის კოდექსის დარღვევაა.

რეპორტაჟში, ფაქტობრივად, ბალანსის პრობლემა გვხვდება, რადგან მხოლოდ საკითხის მოგვარებაზე პასუხისმგებელი ორგანოების წარმომადგენელთა კომენტარები გვხვდება. არ არის იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტების წარმომადგენელთა ინტერვიუები, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რეპორტაჟში საუბარია მანდატურის სამსახურის ახალ სერვისზე, რომელიც ბულინგის პრევენციის მიზნით შეიქმნა. მაყურებელს შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ეს გახლავთ ის ერთადერთი აქტივობა, რითაც განათლების სამინსიტრო აღნიშნულ პრობლემას ებრძვის.

დაბოლოს, უპრიანი იქნებოდა თუკი ბულინგის პრობლემის გადაჭრის ალტერნატიულ გზებზეც მოგვაწოდებდნენ ინფორმაციას.

14. მავთულხლართებით დაშორებული მოზარდები

(https://1tv.ge/video/mavtulkhlartebit-dashorebuli-mozardebi/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი)

სინოფსისი: სიუჟეტი მიეძღვნა ქართველი და ოსი ბავშვის ერთწლიან საერთო პროექტ „კომიქსები მშვიდობისა და განათლებისთვის“ , რომელიც მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, ცხინვალის რეგიონში მცხოვრებ ოს ახალგაზრდებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას არაფორმალური განათლების გზით, მეორე მხრივ, ქათველი და ოსი ახალგაზრდების დაახლოებას. ახალგაზრდებმა თავად შექმნეს კომიქსი სახელად „შუქურა“.

სიუჟეტის დასაწყისში საუბარი იყო იმაზე, რომ ცხონვალში მცხოვრებ ახალგაზრდებს განვითარების მწირი შესაძლებლობა აქვთ და,რომ განათლება კვლავ საბჭოთა იდეოლოგიაზეა დაფუძნებული.

რესპონდენტები: ნინი ბენდიანიშვილი - პროექტის მონაწილე, კატო აბუსერიძე- პროექტის მონაწილე.

დასკვნა: გადაცემა „ახალ კვირაში“ სიუჟეტი არაფორმალური განათლების გზით ქართველი და ოსი ახალგაზრდების ინტეგრაციას მიეძღვნა. სიუჟეტში არ არის პროექტის მთავარი ორგანიზატორის კომენტარი, რომელიც სიღრმისეულად ისაუბრებდა პროექტის მიზანსა თუ ამოცანებზე, ამასთანავე ყურადღებას გაამახვილებდა პროექტის ეფექტურობასა და სამომავლო მიზნებზე.

ამასთანავე, უპრიანი იქნებოდა სიუჟეტში იმაზე აქცენტირებაც, არსებობს თუ არა სხვა პროექტები მავთულხლართების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდების ქართულ სოციუმში ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

15. გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან

(https://1tv.ge/video/gogona-mzis-chasvlis-soflidan/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი)

სინოფსისი: რეპორტაჟი 23 წლის მასწავლებელზე მოგვითხრობს, რომელიც წალკაში სხვადასხვა ეროვნების ბავშვს ქართულ და ინგლისურ ენებს ასწავლის. სიუჟეტში ასევე საუბარია გოგონას ინიციატივით დაფუძნებულ სოციალურ საწარმო „გუმბათზე“, სადაც ახალგაზრდებს განათლების მიღების საშუალება აქვთ, ამასთანავე, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ქართული ენის უკეთ შესწვალისთვის არაფორმალური სივრცე აქვთ.

რესპონდენტი: ირა ძირკვა- მასწავლებელი.

დასკვნა: რეპორტაჟი ერთი მასწავლებლის ისტორიას მიეძღვნა, რომელიც ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ წალკაში პედაგოგის როლში გვევლინება. ის საკუთარი ძალისხმევით ცდილობს ქართული ენის პოპულარიზაციასა და ეთნიკური უმცირესობის ქართულ სოციუმში ინტეგრაციის ხელშეწყობას.

იმის გათვალისწინებით, რომ რეპორტაჟი ადამიანის ისტორიაზე მოგვითხრობს, მედიაპროდუქტის ფორმატი არ იძლევა ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ პუნქტში განათლებასთან მიმართებით არსებული პრობლემებისა თუ გამოწვევების განხილვის შესაძლებლობას. მიმაჩნია, რომ ჟურნალისტმა მაქსიმალურად შეძლო საკითხის საინტერესოდ წარმოჩენა და წალკაში არსებული პრობლემების

(განათლებასთან მიმართებით) იმ დოზით წარმოჩენა, რამდენიც მისაღებია მედიაპროდუქტის ფორმატიდან გამომდინარე.

ინტერვიუს ანალიზი სამეურვეო საბჭოს წევრთან

როგორ ფიქრობთ, განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს სრულად აშუქებს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი? რატომ?

სამეურვეო საბჭოს წევრის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ვერ უზრუნველყოფს განათლების სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების სრულად გაშუქებას და აღნიშნავს:

„სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი განათლების სფეროს პრობლემების გაშუქებით ნაკლებადაა დაინტერესებული, რასაც ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ ვერსად ვხვდებით ცალკე გადაცემას აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებით“

როგორც წარმოდგენილი პასუხიდან ჩანს, სამეურვეო საბჭოს წევრი მიიჩნევს, რომ განათლების სფეროს სათანადოდ გაშუქების პრობლემა ნამდვილად დგას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის წინაშე და, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ განათლებას უფრო მეტი საეთერო დრო უნდა დაეთმოს.

იმის გათვალისწინებით, რომ განათლება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტი გახლავთ. რა არის მიზეზი იმისა, რის გამოც ამ დრომდე არ არსებობს განათლების სფეროს თემატიკაზე მიძღვნილი ინდივიდუალური გადაცემა?

იმის გათვალისწინებით, რომ სამეურვეო საბჭოს წევრმა თავად მიიღო მონაწილეობა პროგრამული პრიორიტეტეტების დოკუმენტის შემუშავებაში და ხედავს, რომ აღნიშნული დოკუმენტი პრაქტიკულ განხორციელებას ვერ ჰპოვებს, მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას აჟღერებს:

„მენეჯმენტის მხრიდან არ არის მზაობა ამ ტიპის გადაცემის შექმნასთან მიმართებით. უახლოეს დღეებში იგეგმება შეხვედრა იმასთან დაკავშირებით, პროგრამულ პრიორიტეტებში მითითებული დებულებებიდან, რომელთა ასახვა ვერ ხორციელდება მაუწყებლის გადაცემებში, ერთერთი სწორედ, რომ განათლების თემა გახლავთ, მენეჯმენტისგან მოვისმენთ ზემოთ თქმულ საკითხთან დაკავშირებით არგუმენტებსა და სამომავლო ხედვას“

სამეურვეო საბჭოს წევრის კომენტარი ცხადყოფს,რომ მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტის მიხედვით იმოქმედოს და გადაცემები სწორედ ამ პრიორიტეტებთან მისადაგებით შექმნას, მენეჯმენტი არ ითვალისწინებს ყოველივე ზემოთ თქმულს და ცალკე გადაცემის არსებობის აუცილებლობას ამ ეტპაზე ვერ ან/და არ ხედავს. ბორდის წევრის განმარტებით, სწორედ მენეჯმენტში არსებული პირები არიან ის რგოლები, რომლებიც განათლების თემის შესაბამისად გაშუქების მზაობას არ გამოთქვამენ.

როგორ ფიქრობთ, მაუწყებელი ახერხებს თუ არა თანაბარი პროპორციულობით გააშუქოს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები?

საბჭოს წევრი, რა თქმა უნდა, იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მაუწყებელმა სათანადაო პროპორციულობით უნდა გააშუქოს განათლების სფეროში არსებული პრობლემები,რასაც ადასტურებს მისი მოსაზრება:

„მაუწყებელი ვერ ახერხებს ყველა იმ გამოწვევაზე აქცენტირებას, რომლის წინაშეც დგას ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, რადგან სპეციალური გადაცემა არ არსებობს, რომელიც ყველა დარგში არსებულ გამოწვევებზე გააკეთებდა ორიენტირს“

როგორც პასუხიდან შევიტყეთ, დარგთა შორის ბალანსს მნიშვნელოვან ასპექტად მიიჩნევს საბჭოს წევრი და მნიშვნელოვნად მიიჩნევს : ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები თანაბარი პროპორციულობით შუქდებოდეს მედიაში. არსებობს თუ არა განათლების სფეროს მრჩეველი საზოგადოებრივ მაუწყებელში?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრი არ ფლობს ინფორმაციას.

„მრჩევლის არსებობის შესახებ, სამწუხაროდ, ინფორმაცია არ მაქვს“

როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა განათლების სფეროს მრჩეველი საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრი ?

აღნიშნულ საკითხზე დადებითი პასუხი გასცა საბჭოს წევრმა:

„უნდა არსებობდეს მრჩეველი, მაგრამ იმისათვის, რომ მრჩევლის საჭიროება იყოს აუცილებელია ცალკე გადაცემის არსებობა განათლებაზე

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საბჭოს წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევს განათლების სფეროს მრჩევლის არსებობას საჭიროდ, თუ შეიქმნება ცალკე გადაცემა, რაც თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ასეთი ინდივიდუალური გადაცემის არარსებობის შემთხვევაში, საზოგადეობრივ–პოლიტიკურ გადაცემებში ინტეგრირებული განათლების სფერო კვლავ იმავე ხარისხით გაშუქდება.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება 5–ქულიან სკალაზე (1 – სრულიად არ ვეთანმხმები 5– სრულიად ვეთანხმები) შემდეგი დებულების მიმართ: საზოგადიოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციას.

საბჭოს წევრმა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ თქმული დებულების მიმართ 3 ქულით შეაფასა.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება 5–ქულიან სკალაზე (სადაც 1– სრულიად არ ვეთანმხმები 5– სრულიად ვეთანხმები) შემდეგი დებულების მიმართ : საზოგადოებრივი მაუწყებელი განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებას უზრუნველყოფს

საბჭოს წევრმა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ თქმული დებულების მიმართ 4 ქულით შეაფასა, რაც, ვფიქრობ, საკმაოდ მაღალი შეფასებაა იმ მოსაზრებათა ფონზე, რაც თავად გააჟღერა ინტერვიუს მსვლელობისას.

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმისეული გაშუქება მოახერხოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა?

სამეურვეო საბჭოს წევრის აზრით, განათლების თემატიკაზე მიძღვნილი ინდივიდუალური გადაცემის არსებობაა აუცილებელი, ამასთანავე, ამ თემის ინტეგრირება სხვადასხვა ფორმატისა თუ შინაარსის მქონე გადაცემებში:

„გარდა ცალკე გადაცემის შექმნისა, მიმაჩნია, რომ საინფორმაციო გამოშვებებსა და საზოგადოებრივ–პოლიტიკურ გადაცემებში სისტემატურად უნდა მოხდეს განათლების თემის ინტეგრირება, რათა საზოგადოებამ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებსა თუ რეფორმებზე“

სამეურვეო საბჭოს წევრის კომენტარი გვაძლევს იმის ფიქრის საშუალებას დავასკვნათ, რომ საზოგადეობრივი მაუწყებლის ერთერთი ფუნქცია განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილი ცვლილებების, რეფორმების, პრობლემებისა თუ გამოწვევების თვალყურის დევნება და სისტემატური გაშუქებაა. სწორედ ამ უკანასკნელის შესრულების შემთხვევაში შეძლებს მაუწყებელი განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებას.

როგორია სამეურვეო საბჭოს წევრთა საერთო ხედვა განათლების სფეროს თემა-ტიკის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეულ გაშუქების უზრუნველსაყოფად?

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი სხვა წევრებთან ერთად განხილვის საგანი არ ყოფილა, შესაბამისად, უჭირს პასუხის გაცემა, თუმცაღა აქვე განმარტა, რომ პრიორიტეტებში განათლების მითითება, საბჭოს ზოგად ხედვაზე მიუთითებს.

„პროგრამულ პრიორიტეტად დავასახელეთ განათლება, სხვა მხრივ, კონკრეტული მითითებების გაცემა მენეჯმენტისთვის მათს საქმიანობაში ჩარევა იქნება“

როგორც საბჭოს წევრის პასუხიდან ირკვევა, საბჭოს წევრთა კომპეტენცია პროგრამულ პრიორიტეტებში კონკრეტული დებულებების გაწერით შემოიფარგლება, თუმცა როგორ და რა ხარისხით სრულდება აღნიშნული დებულებები ეს უკვე მათი საქმიანობის სფეროს სცდება. აღსანიშნავია ის, რომ „საქართველოს კანონში მაუწყებლობის შესახებ“ ვკითხულობთ: „სამეურვეო საბჭოს სხდომა იმართება არანაკლებ თვეში ერთხელ...“, სადაც ლეგიტიმური უფლება აქვთ განიხილონ რატომ ვერ ხერხდება თუნდაც განათლების, როგორც პროგრამული პრიორიტეტის გადაცემებში ასახვა და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაცია ამ საკითხის მოგვარებასთან მიმართებით. ამასთანავე,

სამეურვეო საბჭო ისმენს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ყოველკვარტალურ ანგარიშსაც, სადაც კონკრეტული პრობლემების დასახელებისა და პრობლემათა გადაჭრის გზების ძიებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება.

პროდიუსერებთან ჩატარებული სატელეფონო ინტერვიუს ანალიზი

როგორ ფიქრობთ, განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს სრულად უნდა აშუქებდეს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი? რატომ?

პროდიუსერების აბსოლუტურმა უმრავლესობამ განაცხადა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სრულად უნდა აშუქებდეს განათლების სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს.

"განათლება არის ერთერთი ყველაზე დიდი პრიორიტეტი ჩვენი ქვეყნისთვის, ამიტომ საზოგადოებრივი მაუწყებელიც მუდამ უნდა ცდილობდეს განათლების თემატიკით დაინტერესებას"

"განათლება ჩვენი პროგრამული პრიორიტეტი გახლავთ, ამიტომ ეს თემა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია"

პასუხების ანალიზის თანახმად, სხვადასხვა გადაცემის პროდიუსერები განათლების თემატიკას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ორი ძირითადი მიზეზის გამო: განათლება მათი პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტშია გაწერილი და სახელმწიფოს პრიორიტეტია.

რა ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის მიხედვით არჩევთ განათლების საკითხთან დაკავშირებული გადაცემის/ სიუჟეტის თემას?

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემულია პროდიუსერების კომენტარები:

„ჩვენ ხშირად მიმდინარე, აქტუალურ თემას ვუძღვნით გადაცემას, თუმცაღა რიგ შემთხვევებში, თავადაც ვეძებთ განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს. ჩვენს გადაცემაში გასულ სიუჟეტებში ხშირად შეხვდებით ადამიანების ისტორიებს,

რომლებსაც განათლებასთან დაკავშირებით აქვთ რაღაც პრობლემები, ასევე გვაქვს ხოლმე ბულინგის თემატიკაც, რომელიც აქტუალურია სასკოლო განათლებაში“

„ძირითადად, მიმდინარე ამბებზე გვაქვს ორიენტირი, თუმცაღა ხშირად ვინტერესდებით იმ პრობლემებითაც, რომლებიც არსებობს განათლების სისტემაში“

ორივე პროდიუსერის ინტერვიუმ ცხადყო, რომ გადაცემის/სიუჟეტის თემას მიმდინარე, აქტუალური თემები განსაზღვრავს, თუმცა რიგ შემთხვევებში თავადაც იძიებენ განათლების სფეროში პრობლემურ საკითხებს. საგულისხმოა ის ტენდენცია, რომელიც ორივე პროდიუსერის პასუხებიდან შეინიშნება. საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ერთადერთი ტელევიზიაა, რომელსაც შეუძლია რეიტინგს არ გამოეკიდოს, მაინც უფრო მეტად აქტუალურ თემებზე აკეთებს ორიენტირს, რაც მიდგომის თვალსაზრისით, არასწორია. სწორედ ამგვარი მიდგომა უშლის ხელს განათლების თემატიკის სათანადო გაშუქებას. თემის გაშუქებას არ აქვს სისტემური ხასითი და უმეტესწილად მედია რეაგირების რეჟიმშია.

ახერხებთ თუ არა თანაბარი პროპორციულობით გააშუქოთ განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები?

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოსაზრებები ორად გაიყო. პროდიუსერების კომენტარები ქვემოთაა მოცემული:

„რა თქმა უნდა, დარგებს შორის ბალანსს ვინარჩუნებთ და თანაბარი პროპორციულობით ვაშუქებთ განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს“

„სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ თანაბარი პროპორციულობით განათლების სფეროში არსებული ყველა პრობლემისა თუ გამოწვევის გაშუქებას. თუ გადაცემათა ციკლს გადავავლებთ თვალს, მარტივად შევაჩნევთ, რომ უფრო მეტად სასკოლო განათლების პრობლემატიკით ვინტერესდებით, რაც გარკვეუწილად, ამ საფეხურზე არსებული უამრავი სირთულითაცაა განპირობებული“

პასუხების ანალიზიდან ჩანს, რომ პროდიუსერები არაერთგვაროვნად აფასებენ თავიანთ დამოკიდებულებებს ზემოთ ხსენებულ კითხვასთან მიმართებით. იმ გადაცემის პროდიუსერის, რომლის ეთერშიც, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის

თანახმად, ბოლო ერთი წლის განმავლობაში თითქმის ვერ ვხვდებით გადაცემებს პროფესიულ, უმაღლეს განათლებაზე, მეცნიერებაზე და ა.შ, აცხადებს, რომ დარგთა შორის ბალანსს ინარჩუნებს.

რაც შეეხება მეორე გადაცემის პროდიუსერს, იგი უფრო მეტად რეალურად აფასებს სიტუაციას, უფრო მეტად თვითკრიტიკულია და აანალიზებს, რომ განათლების ყველა სფერო მნიშვნელოვანია, თუმცა ვერ ახერხებს სათანადო ყურადღება დაუთმოს თითოეულ მათგანს. აქვე დავძენ იმასაც, რომ მეორე პროდიუსერი სასკოლო განათლებისთვის უფრო მეტი საეთერო დროის გამოყოფას იმით ხსნის, რომ ამ საფეხურზე გაცილებით მეტი პრობლემაა. სინამდვილეში, არანაკლები პრობლემა გვაქვს განათლების ყველა საფეხურზე, თუმცა ორიენტირს ძირითადად მაინც სასკოლო განათლებაზე აკეთებენ. ეს ყოველივე კი აიხსნება შემდეგი მოცემულობით: ამ კონკრეტული გადაცემის ავტორები ხშირად რეაგირებენ განათლების რეფორმებზე, აცნობენ მაყურებელს რა არის რეფორმის მიზანი, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რასაც ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც ცხადყოფს, თუმცა ეს განათლების სფეროს მიმართ სტიქიურ, ერთჯერად დაინტერესებას გულისხმობს და არა სისტემატურ ხასიათს. განათლებაზე მიძღვნილი გადაცემის სიხშირე კი რეფორმიდან რეფორმამდე პერიოდით განისაზღვრება. აქვე დავძენ იმასაც, რომ გადაცემაში, რომელიც კვირაში ერთხელ გადის ეთერში და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისაა, რთულია შეარჩიო თემა, რომელიც მნიშვნელოვანია საზოგადეობისთვის. თუმცაღა თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ თუკი ერთი წლის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ სამ გადაცემას უძღვნი განათლებას, თან იმის ფონზე, რომ შენსავე მედიაში,ფაქტობრივად, ერთადერთი გადაცემა გაქვს, სადაც მეტ-ნაკლებად განათლების თემატიკა ჟღერდება, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. აღნიშნულმა პროდიუსერმა განაცხადა, რომ თავადაც ეძებენ განათლების სფეროში არსებულ პრობლემებს და არააქტუალურ, არამიმდინარე თემებსაც აშუქებენ, თუმცაღა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევით აღნიშნული დებულება არ დასტურდება.

როგორ ფიქრობთ, უნდა აშუქებდეს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებელი განათლების სახელმიწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ, მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს?

პროდიუსერთა უმრავლესობამ განმარტა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სახელმწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ ცვლილებებს ფეხდაფეხ უნდა მისდევდეს.

„ჩვენი ვალია, რომ განათლების პოლიტიკაში დაგეგმილ თუ მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივად მივაწოდოთ ინფორმაცია მაყურებელს“

„აუცილებელია, რომ განსჯის საკითხად იქცეს სახელმწიფოს მიერ დაგეგმილი ცვლილებების კონკრეტული თემატიკა, მაგალითად, თუ ვხედავთ, რომ განათლების სამინისტროში დარგის სპეციალისტების გარეშე მიმდინარეობს საკითხის განხილვა, ეს დაუყოვნებლივ ჩვენი ყურადღების ცენტრში ექცევა. ჩვენი სივრცე ხშირად ეთმობა მსგავს მნიშვნელოვან თემატიკას“

პროდიუსერთა პასუხებით ვიტყობთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი განათლების სახელმიწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ, მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს უნდა აშუქებდეს, თუმცა საინტერესოა როგორ ესმით თავად განათლების პოლიტიკის ცნება. მოგეხსნებათ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი არსებობს, მათ შორის: „საქართველო 2020“; „საქართველოს მთავრობის რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა“, სადაც განათლების სტრატეგიული პრიორიტეტები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა განათლების პროგრამების შესაბამისობის უზრუნველყოფა შრომის ბაზარის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნებთან, სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა, ყველა დონეზე განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დასაქმებაზე მიბმული პროფესიული მომზადება, უმაღლესი განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების კავშირი ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებასთან და ა.შ. ზემოთ ჩამოთვლილთაგან თითქმის ვერცერთ მათგანზე ვერ ვხვდებით მედიაპროდუქტებს.

ექსპერტების შერჩევის რა მეთოდოლოგია და მექანიზმი არსებობს?

პროდიუსერთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ექსპერტის შერჩევა თემის სპეციფიკის გათვალისწინებით ხორციელდება.

„შესაბამისი თემიდან გამომდინარე ვარჩევეთ ექსპერტს, რომელიც იმ კონკრეტულ მიმართულებაზე მუშაობს. ყოველთვის იმ მიმართულების ექსპერტზე ვაკეთებთ არჩევანს, რომელიც, სწორედ, ჩვენ მიერ გასაშუქებელ თემაზე მუშაობს“

„ცხადია, ვკითხულობთ ვინ რას ფიქრობს და წერს ჩვენ მიერ გასაშუქებელ თემაზე. გადაცემაში აუცილებლად განსხვავებული პოზიციებისა და მოსაზრებების მქონე ადამიანები მოგვყავს. ვგეგმავთ პრეინტერვიუებს და ამის შემდეგ ვცდილობთ ექსპერტებს შორის ბალანსის შენარჩუნებას, რათა საკითხის მრავალმხრივი გაშუქება შევძლოთ“

ზემოთ მოცემული პასუხები, მეტწილად არ შეესაბამება რეალობას, რადგან ხშირად ჩვენ მიერ გამოკვლეულ გადაცემებში ძირითადად ერთი და იგივე ექსპერტებს ვაწყდებით.

მოგეხსენებათ, ექსპერტები განათლებაში განსხვავდებიან ვიწრო მიმართულე-ბებით, ითვალისწინებთ თუ არა მათი კვლევის თემატიკას გადაცემაში/ სიუჟეტში რესპონდენტებად მოწვევის დროს?

ორივე პროდიუსერმა აღნიშნა, რომ გადაცემაში ექსპერტის მოწვევისას ითვალისწინებენ მათი კვლევის თემატიკას.

„დიახ, რა თქმა უნდა, ვითვალსწინებთ ექსპერტთა კომპეტენციას“

„როდესაც რამდენიმე წელია განათლების სფეროს თემატიკას აშუქებ, იცი ვინ როგორ ფიქრობს, ვის ჰკითხო აზრი კონკეტულ თემასთან მიმართებით, ამიტომ ექსპერტების შერჩევის პროცესსაც მარტივად ვახორციელებთ. აღვნიშნავ იმასაც, რომ ვცდილობთ აღმოვაჩინოთ ახალი ადამიანები, ახალი სახეები“

ზემოთ მოცემული პასუხები, მეტწილად არ შეესაბამება რეალობას, რადგან ხშირად ჩვენ მიერ გამოკვლეულ გადაცემებში ძირითადად ერთი და იგივე ექსპერტებს ვაწყდებით, ფაქტობრივად ვერ ვხვდებით ახალ სახეებს.

გყავთ თუ არა მრჩეველი განათლების სფეროში?

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით სხვადასხვა პასუხები დააფიქსირეს პროდიუსერებმა:

„ჩვენ გვყავს მრჩევლები და ყოველთვის ვცდილობთ მრჩეველთა მოსაზრებების გათვალისწინებას, ამასთანავე, მივმართავთ საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს, საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის.

„ძირითადად, პრეინტერვიუების საშუალებით ვიღებთ რჩევებს“

განათლების სფეროს მრჩეველი თავად თქვენი გუნდის წევრია, თუ განათლების სფეროზე მომუშავე რომელიმე ორგანიზაცია ან დარგის ექსპერტი?

ერთერთმა პროდიუსერმა აღნიშნა, რომ მრჩევლები განათლების სფეროში საზოგა-დოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრები არიან.

მეორე პროდიუსერმა, კი განმარტა, რომ არ ჰყავთ მრჩევლები საზოგადოებრივ მაუწყებელში ამ მიმართულებით.

„ჩვენ გვყავს, მრჩევლები საზოგადოებრივ მაუწყებელში ამ მიმართულებით და ვითვალისწინებთ მათს მოსაზრებებს“

„არ გვყავს ტელევიზიაში მრჩეველი ამ მიმართულებით, თუმცა ვიცით ადამიანები, ორგანიზაციები, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ და სწორედ, მათგან იღებენ რჩევებს“

პასუხების ანალიზის შედეგად, რთულია იმის გარკვევა არსებობს თუ არა ნამდვილად განათლების ექსერტთა ჯგუფი საზოგადოებრივ მაუწყებელში, თუმცა პროდიუსერის თქმით, ჰყავთ გარე ექსპერტთა ჯგუფი, რომლებიც თემის სიღრმისეულ გაანალიზებაში ეხმარებათ.

გადაცემის/სიუჟეტის მომზადებისას წინასწარ შემუშავებული გაქვთ თუ არა გეგმა რა ტიპის დოკუმენტაცია, მასალა უნდა გამოიყენოთ პრობლემის გაშუქებისას?

პროდიუსერთა აბსოლუტური უმრავლესობა ადასტურებს გეგმის არსებობას საორიენტაციო დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით.

„ბუნებრვია, გეგმა ყოველთვის არსებობს, სწორედ ამის მიხედვით დგება გადაცემის ფაბულა “

„რა თქმა უნდა, დოკუმენტებზე მუშაობა საწყისი ეტაპია გადაცემის მომზადებისას“

პასუხებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა დოკუმენტაციის გაანალიზებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, თუმცა პრაქტიკაში რამდენად იყენებენ ეს სხვა საკითხია. ჩვენ მიერ ჩატარებულ კვლევაში, სწორედ,რომ დოკუმენტაციის ანალიზის ნაკლებობა შეინიშნება მედიაპროდუქტში. სტატისტიკა, ეროვნული თუ საერთაშორისო კვლევის შედეგები, ნორმატიული დოკუმენტები - ეს იმ მასალათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ჩვენ მიერ შესწავლილ მედიაპროდუქტებში ნაკლებად შეინიშნება.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება 5–ქულიან სკალაზე (სადაც 1 – სრულიად არ ვეთანმხმები, 5– სრულიად ვეთანხმები – ნიშნავს) შემდეგი დებულების მიმართ : საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებას

გადაცემა „ახალი კვირის“ პროდიუსერმა 5 ქულით შეაფასა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ თქმული დებულების მიმართ.

მეორე პროდიუსერმა პირველ ჯერზე 5 ქულით შეაფასა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ ხსენებული დებულების მიმართ, თუმცა ინტერვიუში სიღმისეული მსჯელობის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალა და საკუთარი დამოკიდებულება 4 ქულით განსაზღვრა:

„სამწუხაროდ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამო ყოველთვის არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ განათლების სფეროს თემატიკას იმ სიხშირით ვუბრუნდებოდეთ, რა პერიოდულობითაც ეს საზოგადოებას სჭირდება, ამიტომ 4 ქულით შევაფასებდი ჩემს დამიკიდებულებას. 5 ქულა თვითკმაყოფილების ნიშანი იქნებოდა ჩემი მხრიდან, რასაც ამ ეტაპზე ვერ ვგრძნობ, რადგან ჩვენ ვართ საზოგადოებრივი მაუწყებელი და მეტი მოგვეთხოვება“

ზემოთ მოყვანილი პასუხების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ პროდიუსერები საკმაოდ მაღალი ქულით აფასებენ საკუთარ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მაუწყებლის განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებასთან მიმართებით. მიხედავად იმისა, რომ გადაცემა „რეალური სივრცის“ პროდიუსერმა არაერთ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება ჯერ 5 შემდეგ კი 4 ქულით შეაფასა საკუთარი დამოკიდებულება და ეს შეფასებაც მხოლოდ და მხოლოდ

თვითკმაყოფილების დონეს დაუკავშირა. ამავე პროდიუსერმა ინტერვიუს დასაწყისში განმარტა,რომ განათლებაში არსებულ დარგთა შორის ბალანსს ვერ ითვალისწინებენ, ძირითადად, სასკოლო განათლებაზე აკეთებნ აქცენტს, თუმცა მაინც საკმაოდ მაღალი შეფასება დააფიქსირა სკალაზე. რაც შეეხება მეორე გადაცემის პროდიუსერს, იგი მთელი ინტერვიუს განმავლობაში, ბევრად უფრო პოზიტიურ სურათს ქმნიდა განათლების თემატიკის გაშუქებასთან მიმართებით, შესაბამისად მისი შეფასებაც ნაკლებად მოულოდნელი გახლდათ.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული შეფასება თუნდაც იმ პრობლემას უსვამს ხაზს, რომ პროდიუსერები განათლების თემატიკის სიღრმისეული გაშუქების არსს სათანადოდ ვერ აანალიზებენ.

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოახერხოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა?

მიუხედავად იმისა, რომ „ახალი კვირის“ პროდიუსერმა 5 ქულით შეაფასა თავისი დამოკიდებულება ზემოთ ხსენებული დებულების მიმართ, აღნიშნავს, რომ უმჯობესი იქნება უფრო მეტი გადაცემა და საეთერო დრო დაეთმოს აღნიშნული თემატიკის გაშუქებას, მით უფრო , რომ განათლება ქვეყნის ერთერთი ძირითადი პრიორიტეტია.

„უფრო მეტი გადაცემა და საეთერო დრო უნდა დაეთმოს აღნიშნული თემატიკის გაშუქებას, მით უფრო, რომ განათლება ქვეყნის ერთერთი ძირითადი პრიორიტეტია“

„ეს არხი ნამდვილად აპელირებს განათლების პრობლემებზე, თუმცა იმის გამო, რომ ჩვენ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ რეიტინგს არ გამოვეკიდოთ, ამ მიმართულებით უფრო მეტის გაკეთება გვმართებს“

პასუხების ანალიზიდან ირკვევა, რომ პროდიუსერები საკმაოდ არათანმიმდევრულ და ხშირად შეუსაბამო განცხადებებს აკეთებენ. მაშინ, როცა გადაცემა „ახალი კვირის“ პროდიუსერი 5-ქულიან სკალაზე უმაღლესი ქულით აფასებს საკუთარ დამოკიდებულებას საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განათლების თემატიკის

სიღრმისეული, მრავალფეროვანი , ხარისხიანი გაშუქების დონეს, რეკომენდაციად გვაძლევს, რომ უმჯობესი იქნება მეტი გადაცემის ნახვა ამ მიმართულებით.

მედიაექსპერტთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი

როგორ ფიქრობთ ახერხებს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი თანაბარი პროპორციულობით გააშუქოს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები?

მედიაექსპერტის განმარტებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ აშუქებს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებს.

„არ არსებობს ის გამჭოლი პროგრამები, რომლებიც ამ თემატიკას დაეთმობოდა. საზოგადოებრივი მაუწყებელი, ძირითადად, ფრაგმენტულად აშუქებს განათლების პრობლემატიკას“

მედიაექსპერტის პასუხიდან ირკვევა, რომ განათლების დარგთა შორის: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები- ბალანსი დარღვეულია და ვერ ახერხებს თემის უმრავლესობის დაფარვას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ბადეში არსებული პროგრამებით.

იმის გათვალისწინებით, რომ განათლება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტი გახლავთ, ამ დრომდე არ არსებობს აღნიშნულ თემაზე მიძღვნილი ცალკე გადაცემა, რომელიც სისტემატურად გააშუქებდა ზემოთ ხსნებულ დარგში მიმდინარე პრობლემებსა და გამოწვევებს.როგორ ფიქრობთ აუცილებელია თუ არა ამ ტიპის გადაცემის არსებობა? რატომ?

განათლებაზე მიძღვნილი ინდივიდუალური გადაცემის არსებობას აუცილებელ პირობად მიიჩნევს მედიაექსპერტი და ამ მოსაზრდების განსამტკიცებლად რამდენიმე არგუმენტს ასახელებს:

„პროგრამული პრიორიტეტები ცხადყოფს, რომ სამეურვეო საბჭოს სურს ამ მიმართულებით იხილოს განათლების თემატიკაზე მიძღვნილი ინდივიდუალური მედიაპროდუქტი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. ამის აუცილებლობაში

დავრწმუნდებით მაშინაც, თუ ჩვენი ტიპის ქვეყანაზე გავაკეთებთ აქცენტს, სადაც დომინირებს სპონტანური თემები, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდანაა წახალისებული“

პასუხის ანალიზი გვაძლევს იმის საფუძველს, ვიფიქროთ, რომ პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტში დასახელებული განათლება ფორმალურ ხასიათს ატარებს და ვერ ხერხდება აღნიშნული პრიორიტეტის სათანადო დონეზე შესრულება. აქვე ჩნდება კითხვა, რატომ არ ასრულებს პროგრამული პრიორიტეტებში გაწერილ პუნქტებს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი?

ამასთანავე, მედიაექსპერტი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ფონზე. ამ თემის მიმართ,რადგან საზოგადოებრივი ინტერესის დონე საკმაოდ მაღალია, მედია ხშირად სპონტანურ გადაწყვეტილებებს იღებს, ცვლის დღის წესრიგს და პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან წახალისებულ ორომტრიალში ეხვევა. შესაბამისად, განათლების თემატიკა ხშირად შეიძლება არც დღის და არც კვირის აქტუალური თემა არ გახდეს.

როგორ ფიქრობთ, რის მიხედვით არჩევს საზოგადოებრივი მაუწყებელი განათლების საკითხთან დაკავშირებულ გადაცემის/ სიუჟეტის თემას?

მედიაექსპერტის ცნობით, საზოგადოებრივი მაუწყებელი თემის შერჩევისას ქაოტურად მოქმედებს:

„საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი იმპულსურად მოქმედებს და, ძირითადად, იმ თემას აშუქებს, რასაც ყოველდღიურად მიმდინარე მოვლენები ჰკარნახობს“

მედიაექსპერტი კიდევ ერთხელ ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ განათლების თემატიკა შეიძლება არც დღის და არც კვირის აქტუალური თემა არ გახდეს.

როგორ ფიქრობთ განათლების სფეროს თემატიკაზე მიძღვნილი მედიაპროდუქტები შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს როგორც პროდუქციის რაოდენობით, ასევე მისი მრავალფეროვნებით? რატომ?

ინტერვიუს დროს ექსპერტმა განმარტა, რომ განათლების სფეროს თემატიკაზე მიძღვნილი მედიაპროდუქტები არ შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს არც პროდუქციის რაოდენობით და არც მრავალფეროვნებით:

„განათლების მიმართულება პროგრამულ პრიორიტეტებშია გაწერილია და კონკრეტული ამოცანებიც დასახულია, თუმცა ამ დრომდე აღნიშნული პრიორიტეტის პრაქტიკული განხორციელება ვერ ხერხდება. პირველ ყოვლისა, აუცილებელია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მისდიოს სამეურვეო საბჭოს მიერ დაგდენილ პრიორიტეტებს, რათა საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდეს, როგორც პროდუქციის რაოდენობით, ასევე მისი მრავალფეროვნებით. მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად განათლების თემის ზედაპირული გაშუქება ხდება, რაც, ფორმატიდან გამომდინარე, ბუნებრივიცაა. აუცილებელია სეგმენტური პროგრამების არსებობა“

ექსპერტმა კიდევ ერთხელ ნათლად დააფიქსირა ის აზრი, რომ პროგრამულ პრიორიტეტებში ასახული განათლება, მხოლოდ ფასადურია და რეალურ განხორციელებას ვერ ჰპოვებს.

როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს განათლების სფეროს მრჩეველი საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრი?

აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტმა შემდეგი პასუხი გასცა:

„რამდენიმე წლის წინ განთლების სამინისტროსთან გარე მრჩეველთა გუნდი არსებობდა, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის მოქმედი მენეჯერი კონსულტაციებს გადიოდა განათლების საკითხების გაშუქების ფორმატებთან მიმართებით, თუმცა მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ის ინსტიტუცია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა თავად იყოს მოკარნახე კონკრეტული ფორმატებისა, მათგან უნდა მოდიოდეს უფრო მეტი ინიციატივა რა და როგორ უნდა დაიგეგმოს საეთერო ბადეში“

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, მართებულია ვიფიქროთ, რომ მედიაექსპერტი განათლების სფეროს ექსპერტის აუცილებლობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებს, რაც ვფიქრობ, გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს. მაშინ როცა, განვითარებული ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლების, მათ შორის BBC-ის მაგალითს თუ შევხედავთ, ვნახავთ, რომ განათლების მიმართულებით არსებობს ცალკე ჯგუფი, რომლებიც მხოლოდ ამ თემაზე მუშაობენ. ამასთანავე, აღნიშნული მედიასაშუალება თანამშრომლობს საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციებთან,რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ, რათა მაქსიმალურად სიღრმისეულად, მრავალი კუთხით გააშუქონ ის პრობლემები თუ გამოწვევები,რომელთა წინაშეც დგას დიდი ბრიტანეთი. შესაბამისად, თუკი მსგავს მაღალგანვითარებულ ქვეყანას სჭირდება მსგავსი ტიპის კონსულტაციები, რეკომენდაციები, ვფიქრობ არათუ სასურველია არამედ უკიდურესად აუცილებელიც კი არის განათლების მრჩევლის არსებობა საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

როგორ ფიქრობთ, საზოგადოებრივი მაუწყებელი სისტემატურად უნდა აშუქებდეს თუ არა განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ, მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს?

ექსპერტის ცნობით,საზოგადოებრივი მაუწყებელი სისტემატურად უნდა აშუქებდეს განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ, მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა წარუდგენდეს კონკრეტულ წინადადებს განათლების საკითხებზე მომუშავე საჯარო სექტორს იმისათვის, რომ კონკრეტული ცვლილებები შეიტანოს განათლების პოლიტიკაში“

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, საზოგადოებრივი მაუწყებელი თავად უნდა იყოს ინიციატორი განათლების პოლიტიკაში სწორი მიმართულების განსაზღვრის საქმეში. შესაბამისად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სიღრმისეულად უნდა გაიაზროს თავისი როლი.

ექსპერტების შერჩევის რა მეთოდოლოგიასა და მექანიზმს უნდა იყენებდეს განათლების თემატიკაზე მომუშავე გადაცემის/ სიუჟეტის ავტორები-პროდიუსერები-ჟურნალისტები?

მედიაექსპერტის განმარტებით, აუცილებელია მოწვეულ ექსპერტთა სიის მუდმივი ცვლილება. მისივე ცნობით, მედია უნდა ცდილობდეს ახალი, მოაზროვნე ადამიანების მოძიებას:
„ხანდახან მაყურებელმა წინასწარ იცის რომელი ექსპერტი რა კომენტარს გააკეთებს აღნიშნულ თემასთან მიმართებით, ამას ექსპერტიზას ვეღარ ვუწოდებთ, ეს უფრო წინასწარმეტყველებასთან ასოცირდება. აუცილებელია აკადემიური სექტორის გამოჩენა მედია სივრცეში, სწორედ ეს არის მიზეზი ხშირად იმისა, რომ სიღრმისეულად ვერ ხდება განათლებისა თუ სხვა თემის გაშუქება. ამ კუთხით მნიშვნელოვანად მიმაჩნია საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან, მათ შორის უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია, როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს გარეთ“

როგორც პასუხის ანალიზიდან ირკვევა, ერთი და იმავე ექპსერტების, ადამიანების ხილვა ტელეეკრანებზე მართებული არაა. მით უფრო მაშინ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველა ექსპერტს თავისი დარგი და კვლევის თემა აქვს. ადამიანი, რომელიც სკოლამდელ განათლებაზე აკეთებს კველევებს, ამ მიმართულებით აქვს სიღრმისეული ცოდნა დარგში არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე, არაა რეკომენდებული ექსპერტად მოვიწვიოთ გადაცემაში, რომელიც უმაღლეს განათლებას ეძღვნება და ამ საფეხურზე არსებულ ხარვეზებსა და გადაჭრის გზებზე მსჯელობდეს.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება 5–ქულიან სკალაზე(სადაც 1სრულიად არ ვეთანმხმები 5– სრულიად ვეთანხმები) შემდეგი დებულების მიმართ: საზოგადიოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციას

მედიაექსპერტმა 3 ქულით შეაფასა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ თქმულ დებულებასთან მიმართებით.

გთხოვთ, 5-ქულიან სკალაზე შეაფასოთ თქვენი დამოკიდებულება შემდეგი დებულების მიმართ: საზოგადეობრივი მაუწყებელი განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებას უზრუნველყოფს

მედია ექსპერტმა 2 ქულით შეაფასა საკუთარი დამოკიდებულება ზემოთ თქმულ დებულებასთან მიმართებით.

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოახერხოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა?

ექსპერტის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ფრაგმენტული და არათანმიდმდევრულია განათლების საკითხების დაფარვის მიმართულებით, საერთოდ არ ხორციელდება განათლების არცერთ საფეხურზე არსებული პრობლემების სიღრმისეული გაშუქება და არ შეიძლება განათლების სფერო საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ–პოლიტიკური გადაცემების ამარა დავტოვოთ.

„იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოხერხდეს, შესაძლებელია საინფორმაციო გამოშვებაში განათლების სფეროსთვის ცალკე რუბრიკა გამოიყოს, რომელიც არ ჩანაცვლება რომელიმე სხვა თემით. აუცლებელია არსებობდეს ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელიც გადამზადდება და შეძლებს სათანადოდ გააშუქოს განათლების თემატიკა. ამასთანავე, უმჯობესი იქნება ცალკე პროგრამის შექნა, რომელიც მთლიანად განათლების სფეროს თემატიკას დაეთმობა“

განათლებაზე მიძღვნილი ინდივიდუალური გადაცემა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში განათლების თემის მაქსიმალური ინტეგრაციაა მნიშვნელოვანი. ამასთანავე, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ფაქტობრივად, ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც შეუძლია ცალკე ჰყავდეს დარგის გამშუქებელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომლებიც სპეციალური გადამზადების შემდეგ უზრუნველყოფენ განათლების სფეროს ხარისხიან, სიღრმისეულ და მრავალფეროვან გაშუქებას.

განათლების ექსპერტთან ჩატარებული ინტერვიუს ანალიზი

როგორ ფიქრობთ ახერხებს თუ არა საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი თანაბარი პროპორციულობით გააშუქოს განათლებისა და მეცნიერების ყველა სფეროში არსებული გამოწვევები და პრობლემები?

განათლების ექსპერტი მიიჩნევს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ აშუქებს განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს:

"საზოგადოებრივ მაუწყებელი ვერ აშუქებს განათლების სფეროში არსებულ გამოწვევებს. მას არ აქვს სტრატეგია, გზები განათლების საკითხების გაშუქებასთან მიმართებით, შესაბამისად, ქაოტურად აშუქებს განათლების საკითხებს"

პასუხის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ უმჯობესია საზოგადოებრივ მაუწყებელს კონკრეტული სტრატეგია ჰქონდეს თუ როგორ გააშუქოს განათლების საკითხები. მიმაჩნია,რომ სტრატეგიის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან განათლების საკითხის გაშუქებას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს.

როგორ ფიქრობთ, რის მიხედვით არჩევს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების საკითხთან დაკავშირებით გადაცემის/ სიუჟეტის თემას?

ექსპერტის თქმით, განათლების თემის შერჩევა იმპულსურად, რაღაც ამბის მოხდენის საფუძველზე ხორციელდება.

„საზოგადოებრივ მაუწყებელზე პრობლემის ქაოტურად და არა - პროაქტიულად გაშუქება ხდება. ის მედიაპროდუქტები, რომლებიც სისტემურ პრობლემებზე უფრო ვრცლად და სიღრმისეულად მოგვითხრობდნენ, ფაქტობრივად არ გვხვდება და მედია აქტუალური თემების გაჟღერერებით შემოიფარგლება"

განათლების ექსპერტის კომენტარის გათვალისწინებით, შეგვიძლია დასკვნის სახით განვმარტოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი მხოლოდ რეაგირების რეჟიმს ირჩევს. ე.წ ნიუსებზე ორიენტირებულია და არ ცდილობს თავად იყოს თემის მაძიებელი.

როგორ ფიქრობთ განათლების სფეროს თემატიკაზე მიძღვნილი მედიაპროდუქტები სრულად შეესაბამება საზოგადოების მოთხოვნებს როგორც პროდუქციის რაოდენობით, ასევე მისი მრავალფეროვნებით? რატომ? ექსპერტის ცნობით, საზოგადოებრივ მაუწყებელს საერთოდ არ აქვს განათლების თემატიკაზე მიძღვნილი მედიაპროდუქტი.

„რეალურად, განათლების თემატიკაზე მიძღვნილი მედიაპროდუქტები საერთოდ არ აქვს მაუწყებელს. ბრიტანეთისა თუ გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებლების მაგალითს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ განათლების თემის გაშუქება საკმაოდ კომპლექსურადაა წარმოდგენილი, მათ მთელი პოლიტიკა აქვთ შემუშავებელი როგორ უნდა მიაწოდონ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები საზოგადოებას. ქართულ საზოგადოებრივ მაუწყებელს კი ჰგონია, რომ, მაგალითად, თვითონ უნდა ასწავლოს მათემატიკა მოზარდებს, შეიძლება ესეც იყოს მისი მისია, მაგრამ, ადამიანებს მან ისეთი ტიპის ინფორმაცია უნდა მიაწოდოს, რომელიც განათლების პოლიტიკაში არსებულ გამოწვევებს, პრობლემებსა და თავად განათლების არსს ეხება“

განათლების ექსპერტის პასუხიდან ირკვევა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სისტემატურად უნდა აშუქებდეს განათლების სახელმწიფო პოლიტიკაში დაგეგმილ, მიმდინარე ცვლილებებსა და პრობლემებს, ეს უნდა იყოს მისი ძირითადი ვალდებულება განათლების მიმართულებით, თუმცა არ მიიჩნევს საჭიროდ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებას. განათლების ექსპერტს მოჰყავს ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის მაგალითი, რომელიც სწორედ, რომ გარკვეული უნარების განვითარებას ცდილობს სხვადასხვა ასაკის მოზარდებში. უფრო მეტიც, BBC-ის 5 მიზნიდან ერთერთი სწორედ, რომ ყველა ასაკის ადამიანის სწავლის ხელშეწყობაა და მაუწყებელმა უნდა შექმნას საგანმანათლებლო კონტენტი, რათა დაეხმაროს, მხარი დაუჭიროს ბავშვებისა და თინეიჯერების სწავლის პროცესს. ამასთანავე, BBC–მ შექმნა მასწავლებლებისთვის დამხმარე სასწავლო რესურსები (მოკლე ფილმები, აუდიო ჩანაწერები...). კვლევის თანახმად, მასწავლებელთა 60% იყენებს აღნიშნულ რესურსებს საგაკვეთილო პროცესის დროს. შესაბამისად, განათლების ექსპერტის მიერ გაჟღერებული მოსაზრება ნამდვილად სადავოა. საზოგადოებრივი მაუწყებელი სწორედ, რომ ის ინსტიტუცია გახლავთ, რომელსაც უნდა ჰქონდეს ყველა რესურსი იმისათვის, რომ სრულად შეასრულოს საგანმანათლებლო ფუნქცია და მასზე ნაკისრი ვალდებულებები.

იმის გათვალისწინებით, რომ განათლება საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტი გახლავთ, ამ დრომდე არ არსებობს აღნიშნულ თემაზე მიძღვნილი ცალკე გადაცემა, რომელიც სისტემატურად გააშუქებდა ზემოთ ხსნებულ

დარგში მიმდინარე პრობლემებსა და გამოწვევებს. როგორ ფიქრობთ აუცილებელია თუ არა ამ ტიპის გადაცემის არსებობა? რატომ?

განათლების ექსპერტის ცნობით, განათლებაზე მიძღვნილი ინდივიდუალური გადაცემის არსებობა აუცილებელია.

„აუცილებელია, რადგან ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია. საზოგადოებაში სწორი ხედვა არ არსებობს,ზოგადად, განათლებასთან მიმართებით. განათლება საზოგადოებისთვის პრიორიტეტული არ არის. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რომ მათი ეკონომიკური მდგომარეობა, დასაქმება, ქვეყნის განვითარება - ხარისხიანი განათლებით მიიღწევა. უამრავ პრობლემათა გადაჭრის გზა, რომ სწორედ ეს უკანასკნელია ხალხს უჭირს ამის გააზრება. რეალურად, არ აქვთ იმის რწმენა, რომ განათლება ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედია. განათლების მნიშვნელობის გააზრებაა მნიშვნელოვანი“

განათლების ექსპერტის ზემოთ მოყვანილი პასუხი ცხადყოფს, რომ განათლების თემაზე მიძღვნილი გადაცემა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ქვეყნის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. ვფიქრობ, რომ აღნიშმნული მოსაზრება დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან განათლების ექსპერტი იაზრებს მედიის როლს ქვეყანაში ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკითხში, პოზიტიური ცვლილებების განხორციელებასა და ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნაში.

როგორ ფიქრობთ, უნდა იყოს თუ არა განათლების სფეროს მრჩეველი საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრი?

ექსპერტის განმარტებით, უპრიანი იქნება თუ განათლების სფეროში კომპეტენტური ადამიანი სამეურვეო საბჭოს წევრი იქნება:

„აუცილებელია მსგავსი პოზიციის ადამიანი იყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრი, უფრო მეტიც, ამ სფეროში კომპეტენტური ადამიანი სამეურვეო საბჭოს წევრიც უნდა გახლდეთ“

ექსპერტის პასუხიდან ირკვევა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია განათლების სფეროს მრჩევლის არსებობა საზოგადოებრივ მაუწყებელში. სამეურვეო საბჭო, რომელიც,

ფაქტობრივად, არხის პოლიტიკას განსაზღვრავს, კომპეტენტური უნდა იყოს აღნიშნულ თემასთან მიმართებით და მისი ერთი წევრი მაინც უნდა იყოს ამ კუთხით კომპეტენტური. ვფიქრობ, რომ აღნიშნული მიდგომის დანერგვა მნიშვნელოვანი იქნებოდა, ამით მაუწყებელი უფრო მეტად შეძლებდა საგანმანათლებლო ფუნქციის შესრულებას და ისეთი მედიაპროდუქტების შექმნას, როგორიც სჭირდება დღეს საზოგადოებას.

ექსპერტების შერჩევის რა მეთოდოლოგიასა და მექანიზმს უნდა იყენებდეს განათლების თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტები, პროდიუსერები?

ექსპერტის აზრით, მოწვეულ რესპონდენტთა კვალიფიკაციის გათვალისწინება მნიშვნელოვანია:

„ საზოგადოებრივ მაუწყებელში უნდა არსებობდეს განათლების სფეროს სპეციალისტთა გუნდი, რომლებიც თუნდაც ექსპერტების შერჩევისას კვალიფიციურ რჩევას მისცემენ ჟურნალისტებს, გარდა ამისა, უნდა გაითვალისწინონ იმ ადამიანის კვალიფიკაცია, ვის მოწვევასაც გეგმავენ გადაცემაში. ამ ადამიანის კომპეტენცია რელევანტური უნდა იყოს გადაცემის საკითხთან“

ვფიქრობ, ზემოთ ხსენებული რეკომენდაციის გათვალსიწინება თავიდან აგვარიდებს ე.წ წინასწარმეტყველებას იმის შესახებ, თუ რომელი ექსპერტი რა პოზიციას დააფიქსირებს, რადგან ხშირად მაყურებლები თავად ხვდებიან ესა თუ ის ადამიანი აღნიშნულ საკითხზე რა მოსაზრებას გააჟღერებს. ამასთანავე, აღნიშნული რეკომენდაცია, ფაქტობრივად, ახალი სახეების მოძიებას, ექსპერტთა სიის განახლებასაც თავისთავად მოიაზრებს, ამით უფრო მეტი აზრის მოსმენის საშუალება ექნება მაყურებელს, შესაბამისად უფრო მეტად შეძლებს პირადი პოზიციის ჩამოყალიბებას ამა თუ იმ საკითხზე.

გამოთქვით თქვენი დამოკიდებულება 5–ქულიან სკალაზე(1- სრულიად არ ვეთანმხმები; 5– სრულიად ვეთანხმები) შემდეგი დებულების მიმართ: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციას.

ექსპერტმა აღნიშნული დებულება ორი ქულით შეაფასა.

გთხოვთ, 5-ქულიან სკალაზე შეაფასოთ თქვენი დამოკიდებულება შემდეგი დებულების მიმართ: საზოგადეობრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების თემის მრავალფეროვან, ხარისხიან და სიღრმიეულ გაშუქებას უზრუნველყოფს

ექსპერტმა საკუთარი დამოკიდებულება აღნიშნული დებულების მიმართ ორი ქულით შეაფასა და დასძინა, რომ ორი ქულიდან ერთი სწორედ, რომ გადაცემა „რეალურ სივრცეს“ ეკუთვნის განათლების პრობლემის გაშუქებასთან მიმართებით.

როგორ ფიქრობთ, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოახერხოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა?

ექსპერტის თქმით,პროგრამული პრიორიტეტის დოკუმენტი საკმარისი არ არის იმისათვის ,რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოხდეს და საინტერესო რეკომენდაციებს გასცემს ამ მიმართულებით:

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ძალიან მკაფიოდ უნდა გამოყოს განთლების მიმართულება, რადგან ეს გახლავთ ეროვნული პრიორიტეტი, შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის პოლიტიკის განსაზღვრელ დოკუმენტებში განათლება ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი. პროგრამული პრიორიტეტის დოკუმენტი საკმარისი არ არის იმისათვის, რომ განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქება მოხდეს. მათ მიერ დასახული მიზნების ეფექტური განხორციელების მიზნით, უნდა შეიქმნას ერთეული ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უშალოდ შემსრულებლის როლს იკისრებს. ამასთანავე, აუცილებელია კონსულტაციების გავლა არასამთავრობო თუ სახელმწიფო ინსტიტუციებთან განათლების თემატიკის სათანადო გაშუქების უზრუნველსაყოფად“

განათლების ექსპერტი, ფაქტობრივად, მიიჩნევს, რომ პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტი ფორმალურ ხასიათს ატარებს და სანამ შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, გუნდი არ იქნება გამოყოფილი, მანამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში რთული იქნება განათლების თემის მრავალფეროვანი, ხარისხიანი და სიღრმიეული გაშუქების ხილვა.

დასკვნები

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევითი ნაწილის ანალიზმა და მისმა შედარებამ მეორეუ; ინფორმაციასთან საინტერესო სურათი აჩვენა. ჩვენ ხელთ არსებულ

მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ განათლების საკითხების გაშუქება საზოგადოებრივ მაუწყებელზე სათანადოდ ვერ ხორციელდება და, რომ საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული მედიასაშუალება ვერ უზრუნველყოფს მისი ერთერთი მთავარი ფუნქციის– საგანმანათლებლო–შემეცნებითი ფუნქციის შესრულებას. აქვე დავძენ იმასა, რომ ჩვენი ჰიპოთეზა სრულად დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი საკვლევი პერიოდის 2018 იანვრიდან 2019 წლის იანვრის ფარგლებში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველის არხის გადაცემა „რეალურ სივრცეში“ სულ 4 გადაცემა გავიდა. გადაცემა „ახალი კვირის“ ეთერში კი 15 სიუჟეტი.

განათლების თემატიკაზე მიძღვნილ გადაცემებსა თუ სიუჟეტებზე დაკვირვებისას, სიღრმისეული შესწავლისას, გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან განათლების საკითხების გაშუქება ზედაპირულად ხორციელდება. ნაშრომში შესწავლილი გადაცემებისა თუ სიუჟეტების უმრავლესობაში ნაკლებადაა წარმოდგენილი დოკუმენტები, სტატისტიკა, კვლევები თუ სხვა სანდო სამეცნიერო წყაროები, რაც საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებაში დაეხმარებოდა მაყურებელს;
- ნაშრომში განხილულ გადაცემასა და სიუჟეტების ნაწილში შეინიშნება ძირითადი თემიდან გადახვევის შემთხვევები. განსაკუთრებით გადაცემა „რეალურ სივრცეში“ ფიქსირდება ბევრი სხვადასხვა თემისა თუ საკითხის ზედაპირული განხილვა, რის გამოც გადაცემის მთავარი თემის სიღრმისეული განხილვა/ანალიზი ვერ ხორციელდება;
- მედიაპროდუქტების ნაწილში ფიქსირდება ერთი და იმავე ექსპერტებისა თუ რესპონდენტების ინტერვიუები, რაც მაყურებელს ამა თუ იმ საკითხის მრავალმხრივი გააზრების საშუალებას არ აძლევს. გარდა ამისა, არაა რეკომენდებული ერთი და იმავე განათლების ექსპერტების მოსაზრებების გაშუქება განათლების სხვადასხვა თემატიკასთან მიმართებით, რადგან

ექსპერტი კონკრეტული დარგისა თუ მიმართულების მკვლევარია, შეუძლებელია მას სიღრმისეულად ჰქონდეს გააზრებული თავისი საკვლევი საგნის გარეთ არსებული საგანმანათლებლო პროცესები;

- მედიაპროდუქტების ნაწილში შეინიშნება მხარეთა ბალანსის პრობლემა. ზოგიერთ მათგანში ე.წ დაზარალებულთა კომენტარებია მხოლოდ წარმოდგენილი და არ გახლავთ პასუხისმგებელი ორგანოების წარმომადგენლებისა თუ დამოუკიდებელი ექპსერტების კომენტარები;
- განათლების თემატიკასთან დაკავშირებული გადაცემები ძირითადად მომზადებულია მიმდინარე აქტუალურ სიახლეებზე დაყრდნობით;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი სრულად ვერ ასახავს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ უზრუნველყოფს მისი ერთ–ერთი მთავარი ფუნქციის – **საგანმანათლებლო** ფუნქციის სრულად შესრულებას;
- გადაცემებსა თუ სიუჟეტებში ძირითადად აქცენტირებულია პრობლემა, თუმცა გადაჭრისა თუ პრევენციის გზებზე საუბარი თითქმის არ არის;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითადად სასკოლო განათლების პრობლემატიკის გაშუქებაზეა ორიენტირებული. სიუჟეტების მცირე ნაწილში საუბარია სკოლამდელ განათლებაზე. არ შუქდება პროფესიული და უმაღლესი განათლების პრობლემები;
- განათლების დარგთა შორის: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები - ბალანსი დარღვეულია და ვერ ახერხებს თემის უმრავლესობის დაფარვას საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ბადეში არსებული პროგრამებით.

- გადაცემები და სიუჟეტები ეძღვნებოდა სასკოლო განათლების ძირითად გამოწვევებს – თანასწორობასა და ხარისხს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;

- საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში გასული გადაცემები, სიუჟეტები თუ რეპორტაჟები განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებსა თუ რეფორმებს სიღრმისეულად არ ასახავს;
- საზოგადოებრივი მაუწყებელი, რიგ შემთხვევებში, ვერ ახერხებს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას განათლებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით;
- მედიაპროდუქტებში თითქმის არ გვხვდება ისეთი საერთაშორისო კვლევის შედეგები, როგორებიცაა: PIRLS, PISA, TIMSS;
- მედიაპროდუქტების მხოლოდ მცირე ნაწილში ფიქსირდება სტატისტიკური მონაცემების გრაფიკულად გამოსახვის შემთხვევები, რაც მაყურებელს ურთულებს მონაცემთა აღქმის პროცესს;

რეკომენდაციები

- განათლების სფეროს თემატიკის სღრმისეული, მრავალფეროვანი და ხარისხიანი გაშუქების უზრუნველსაყოფად უმჯობესი იქნება შეიქმნას, განათლების თემატიკისადმი მიძღვნილი ცალკე გადაცემა, ამასთანავე, უპრიანი იქნება სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემისა და საინფორმაციო გამოშვების (ამ უკანასკნელში სასურველი იქნება ცალკე რუბრიკის არსებობა, რათა განათლების თემატიკის გაშუქებას სისტემატური ხასიათი ჰქონდეს) სათანადო ინტეგრირება;
- სასურველი იქნება განათლების თემის გაშუქებისას დოკუმენტების, სტატისტიკის, კვლევებისა თუ სხვა მეცნიერული წყაროების მოხმობა, რაც საკითხის სიღრმისეულად გაანალიზებაში დაეხმარება მაყურებელს;
- სასურველი იქნება თუ განათლების თემატიკასთან დაკავშირებული გადაცემების მომზადება მხოლდო მიმდინარე აქტუალურ სიახლეებზე დაყრდნობით არ განხორციელდება და სისტემატური ხასიათი ექნება;
- უმჯობესი იქნება ექსპერტთა სიის მუდმივი განახლება, ახალი განათლების მიმართულებით მომუშავე ადამიანების მოძიება და აკადემიურ სფეროს წარმომადგენელთა ჩართვა განათლების საკითხის გაშუქებისას;
- უმჯობესი იქნება თუ იარსებებს ცალკე გუნდი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განათლების თემატიკის გაშუქებით იქნება დაკავებული. ამასთანავე, უპრიანი იქნება განათლების სფეროში კომპეტენტური ადამიანი გახლდეთ თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის გუნდის წევრი, რომელიც კონკრეტულ რჩევებსა და რეკომენდაციებს გასცემს ამა თუ იმ თემის გაშუქებისას;
- უმჯობესი იქნება, თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებსა თუ რეფორმებს სიღრმისეულად ასახავს და საზოგადოების ინფორმირებას შეუწყობს ხელს ამ მიმართულებით;
- სასურველია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის წევრებმა მისდიონ პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტში გაწერილ დებულებებს და განათლების, როგორც ერთერთი ძირითადი პრიორიტეტის სრულფასოვნად შესრულება უზრუნველყონ.

- სასურველია, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, რომ განათლების დარგთა შორის: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები- ბალანსი დაიცვას .

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა:

1. მუდრიკი, ა.ვ. (2005) *სოციალური პედაგოგიკა.* მოსკოვი
2. წულაძე, ლ. (2008) „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“. თბილისი
3. საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია, (2013) „სასკოლო განათლების სისტემის კონცეფცია“. თბილისი
4. კოალიცია განათლება ყველასათვის. (2016) „განათლების საკითხების გაშუქება საზოგადოებრივ მაუწყებელზე“. თბილისი
5. საქართველოს პარლამენტი. (2004). „საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“. თბილისი.
6. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. (2009). „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“. თბილისი.
7. საქართველოს მთავრობის დადგენილება. (2014). „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია საქართველო 2020“. თბილისი.
8. საქართველოს მთავრობა. (2016) „რეფორმების ოთხპუნქტიანი გეგმა“. თბილისი.
9. Secretary of State for Digital, Culture, Media and Sport by Command of Her Majesty, BBC Annual Report and Accounts 2017/18
10. Ofcom's annual report on the BBC(2018)

ინტერნეტწყაროები

1. https://1tv.ge/tv-radio/pirveli-arkhi/?tab=menu&menu=1
2. https://www.bbc.com/aboutthebbc/governance/mission
3. https://www.ofcom.org.uk/__data/assets/pdf_file/0015/124422/BBC-annual-report.pdf
4. http://downloads.bbc.co.uk/bbctrust/assets/files/pdf/about/how_we_govern/2016/charter.pdf
5. http://downloads.bbc.co.uk/aboutthebbc/insidethebbc/reports/pdf/bbc_annualreport_201718.pdf

6. http://www.mes.gov.ge/uploads/სტრატეგია/განათლებისა%20და%20მეცნიერების%20სტრატეგია.pdf
7. https://eqe.ge/geo/static/115
8. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=51
9. https://cdn.1tv.ge/app/uploads/2018/08/2018-2021-პროგრამული-პრიორიტე-1-1534511013.pdf
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=51

გადაცემა „რეალური სივრცე“

1. სასკოლო განათლება

(https://1tv.ge/video/realuri-sivrce-saskolo-ganatleba-live/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი

2.ძალადობის ანატომია მოზარდებში

https://1tv.ge/news_tag/dzaladobis-anatomia/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი

3.საუკეთესო მასწავლებლები ცვლილებებზე

https://1tv.ge/live/realuri-sivrce-sauketeso-maswavleblebi-cvlilebebze-live/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი

4. რას შეცვლის გამოცდების გაუქმება

https://1tv.ge/live/realuri-sivrce-ras-shecvlis-gamocdebis-gauqmeba/ ბოლო ნახვა 2019, 22 მაისი

გადაცემა „ახალი კვირის“ სიუჟეტები

1. ძალადობა მოზარდებში

https://1tv.ge/video/dzaladoba-mozardebshi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი

2. დაცლილი ხეობა

(https://1tv.ge/video/daclili-kheoba/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი

3. აღზრდის ძალადობრივი მეთოდები

(https://1tv.ge/video/aghzrdis-dzaladobrivi-metodebi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი

4.თანამედროვე ბოშები

(https://1tv.ge/video/tanamedrove-boshebi/ ბოლო ნახვა 2019, 26 მაისი

5. განათლების რეფორმა

(https://1tv.ge/video/ganatlebis-reforma-2/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

6.განათლების გარეშე დარჩენილი ბავშვები

(https://1tv.ge/video/ganatlebis-gareshe-darchenili-bavshvebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

7.სკოლამდელი განათლების პრობლემები

(https://1tv.ge/video/skolamdeli-ganatlebis-problemebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

8.ქართული ენა და ეთნიკური ჯგუფები

(https://1tv.ge/video/qartuli-ena-da-etnikuri-jgufebi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

9.სოფლის ერთადერთი მოსწავლე

(https://1tv.ge/video/soflis-ertaderti-moswavle/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

10. მშობლები სტიგმის წინააღმდეგ

(https://1tv.ge/video/mshoblebi-stigmis-winaaghmdeg/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

11. ჰიგიენური ნორმები სკოლებში

(https://1tv.ge/video/higienuri-normebi-skolebshi/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

12. ბულინგი და მშობლის როლი

(https://1tv.ge/video/bulingi-da-mshoblis-roli/ ბოლო ნახვა 2019, 9 ივნისი

13.ბულინგი სკოლებში

(https://1tv.ge/video/bulingi-skolebshi/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი

14. გოგონა მზის ჩასვლის სოფლიდან

(https://1tv.ge/video/gogona-mzis-chasvlis-soflidan/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი

15. https://1tv.ge/video/mavtulkhlartebit-dashorebuli-mozardebi/ ბოლო ნახვა 2019, 8 ივლისი

დანართი #1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program "Education Sciences" Module –leadership and Management of Education sphere

Tkeshelashvili Mariami

Research practice on covering of education issues by the First Channel of Georgian Public Broadcaster.

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Education Sciences

Head of the work: Assistance professor

of TSU Training-Scientific Institute of Pedagogic

Zakaria Kitiashvili

Tbilisi

2019